პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ ის ორგანო

ხუთშაბათი
12
აგვისტო
1937 წ.
№ 184 (4985)

დღეს გაზეთში:

- პარტია და მისი რეზერვები (მოწინავე)
- სსრ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებანი
- თავთავიანი კულტურების ალება (ნაკრები ცნობები)
- დ. ლამარიძე — რაგის სამრეწველო ათვისების საკითხი (ფელეტონი)
- დ. ჯანელიძე—„ვეფხის-ტყაოსნის" დრამატურგია (ფელეტონი).
- ლადო ზაზიკოვი — ეთნოგრაფიული გუნდები და სახელმწიფო კაპელა (ფელეტონი).

უცხოეთში:

- ესპანეთის ფრონტებზე.
- შეტაკებანი მეამბოხეთა ბანაკში
- იაპონიის ჯარების იერიში მოგერიებულია
- იაპონელ რეზიდენტთა ევაკუაცია
- „იაპონიის პროლეტარული პარტიის" განცხადება.
- საჰაერო მანევრები ინგლისში

პარტია და მისი რეზერვები

კომუნისტურ პარტიას ჩვენს ქვეყანაში გარსარტყია არაპარტიულ ბოლშევიკთა უდიდესი აქტივი. ჩვენს ქვეყანაში ითვლება ათიათასობით ორდენოსანი. მათი უმრავლესობა არაპარტიული ბოლშევიკები არიან. ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში შეიძლება შევხვდეთ სიმამაცისა და გმირობის ადამიანებს. ჩვენი მამაცი მფრინავები, არქტიკის დამპყრობნი, მრეწველობის სტახანოველები, სარეკორდო მოსავლის ოსტატები, კულტურის მუშაკები — ჩვენი ცხოვრებისა და მშენებლობის ყველა დარგში სამშობლოს ათასობით და ათასობით ენთუზიასტები არიან. პარტიას მოეპოვება ის წყარო, საიდანაც მიიღებს თავისი რიგების ახალ-ახალ შევსებას!

არაპარტიულ ბოლშევიკთა უდიდესი არმია უკვე დიდი ხანია შეუსისხლხორცა პარტიას საერთო შემოქმედებითმა მუშაობამ, სოციალიზმის საქმის ერთგულებამ, ზრუნვამ ჩვენი ქვეყნის აყვავებაზე. 1935 წელს საპირველმაისო პარადის მონაწილეებთან საუბრის დროს ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ბოლშევიკი ეს არის ის, ვინც ბოლომდე ერთგულია პროლეტარული რევოლუციის საქმისა. ასეთები ბევრია არაპარტიულთა შორის. მათ ან ვერ მოასწრეს პარტიის რიგებში შესვლა, ან ისინი ისე დიდად აფასებენ პარტიას, ხედავენ მასში ისეთ სიწმინდეს, რომ უნდათ კიდევ და კიდევ მოემზადონ პარტიის რიგებში შესასვლელად. ხშირად ასეთი ადამიანები, ასეთი ამხანაგები, ასეთი მებრძოლები პარტიის ბევრ და ბევრ წევრზე მაღლაც კი დგანან. ისინი მისი ერთგული არიან კუბოს ფიცრამდე".

განახლდა რა ათი თვის წინათ პარტიაში მიღება, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მხედველობაში ჰქონდა შეევსო პარტიის რიგები ახალი ადამიანებით არაპარტიულ ბოლშევიკთა რიცხვიდან. ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა მითითება პარტიულ ორგანიზაციებს — შეარჩიონ პარტიაში მისაღებად ჩვენი ქვეყნის ნამდვილად მოწინავე, მუშათა კლასის საქმის ნამდვილად ერთგული, საუკეთესო ადამიანები, უწინარეს ყოვლისა მუშებისაგან, აგრეთვე გლეხებისაგან და მშრომელი ინტელიგენციისაგან, შემოწმებულნი სოციალიზმისათვის ბრძოლის სხვადასხვა უბანზე. ამავე დროს პარტიული ორგანიზაციები გაფრთხილებულნი იყვნენ პარტიის ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღებისადმი ხელაღებითი დამოკიდებულების წინააღმდეგ. სიფხიზლე, გულმოდგინე და ყოველმხრივი განხილვა თვითეული ახალი ადამიანისა, რომელიც პარტიის რიგებში შედის, მკაცრი **ინდივიდუალური შერჩევა** — აი მიღების განახლების უმნიშვნელოვანესი პირობები.

როგორც ცნობილია, თავის დროზე ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას უნდოდა პარტიაში მიღებისათვის დიდი ყოველდღიური ორგანიზაციული მზადება შეეცვალა კამპანიურობით, საკონტროლო ციფრების შედგენით და ა. შ. ყოველივე ეს მკვეთრად იქნა დაგმობილი. და მაშინ ბევრი პარტიული ხელმძღვანელი, რომლებსაც, როგორც ჩანს, ცუდად ესმით პარტიის მშენებლობის ლენინური პრინციპები, მეორე მხარეს მიაწყდა. არ გაუწიეს რა ანგარიში არაფერს, მათ ფაქტიურად შეაჩერეს პარტიაში მიღება. დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრი. ხარკოვის ორგანიზაციაში პირველადი ორგანიზაციების 80 პროცენტს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ პირველი რვა თვის განმავლობაში არცერთი კაცი არ მიუღია პარტიის კანდიდატად. კიევის ორგანიზაციაში პირველადი ორგანიზაციების 80 პროცენტს არცერთი კანდიდატი არ მიუღია პარტიაში. აზერბეიჯანში, სადაც, როგორც ცნობილია, არის უდიდესი სამრეწველო ცენტრები საუცხოო პროლეტარული კადრებით, პარტიულ ორგანიზაციათა დაახლოებით 90 პროცენტს არ მიუღია არცერთი კანდიდატი, პარტიის არც ერთი წევრი. ასეთივე სურათია აზოვ-შავი ზღვის მხარეშიც და ა. შ. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ფაქტიურად ბევრ ორგანიზაციაში, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, წინანდებურად დახურულია მიღება საქ. კ. პ. (ბ) რიგებში. როგორც წესი, მიღება არ არის იქ, სადაც არასაკმაოა პოლიტიკური მუშაობა მასებში და სადაც ამიტომ არ იცნობენ ადამიანებს, არ იცნობენ აქტივს, სადაც დაუდევრად ეკიდებიან თანამგრძნობთა, კომკავშირელთა აღზრდას. იმის ნაცვლად, რომ აღიარონ ეს მდგომარეობა, ადამიანები ზოგჯერ ეწევიან იმაზე ლაპარაკს, რომ ახლა ადვილი არ არის რეკომენდაციის მიცემა. რასაკვირველია, სწორი არ არის რეკომენდაციის მიცემა რაიმე ძველი კავშირურთიერთობის მიხედვით, როდესაც არ იცი, თუ რას წარმოადგენს ადამიანი ამჟამად. მაგრამ ბოლშევიზმიდან ასევე შორს არის მეორე საქციელი — ლაჩრული თავდაზღვევა, უპასუხისმგებლო შიში რეკომენდაცია მისცენ ადამიანს, რომელიც ღირსია იყოს პარტიის რიგებში. ორგანიზაციისათვის სამარცხვინოა ისეთი შემთხვევები, როდესაც, ვთქვათ, მზად არიან მიიღონ პარტიაში სტახანოველი მუშა, მაგრამ ამასთან ერთად ეშინიათ მისცენ მას რეკომენდაცია. რას გვეუბნება ეს, თუ არა იმას, რომ ასეთ ორგანიზაციაში კომუნისტები მოწყვეტილნი არიან უპარტიოებისაგან, არ იცნობენ თავის საუკეთესო აქტივისტებს! ბევრ რაიკომსა, საქალაქო კომიტეტსა და საოლქო კომიტეტში ბიუროკრატიულად, მთელი თვეობით ამუშავებენ განცხადებებს მიღების შესახებ, იმიზეზებენ რა თავიანთ სიფხიზლეს. მაგრამ ერთი საქმეა, როდესაც დიდხანს და გულმოდგინედ ამოწმებენ ადამიანს, რომელსაც პარტიაში შესვლა სურს. ამას მხოლოდ უნდა მივესალმოთ. და მეორე საქმეა, როდესაც განცხადებებს მაუდქვეშ ინახავენ, არ ამოწმებენ მათ და არავითარ პასუხს არ აძლევენ ადამიანებს. პარტიაში შემსვლელთა დოკუმენტების გაფორმების დროსაც კი აქა-იქ შემჩნეულია უპასუხისმგებლობა.

ახლანდელ პირობებში პარტიაში მიღება, ბუნებრივია, უბრალო საქმე არ არის. პარტიაში მუდამ ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ შეძრომას მტრები, ჯაშუშები, დივერსანტები. საჭიროა მკვეთრი სიფხიზლე, რათა არ შევუშვათ პარტიულ წრეში მტერი, ობივატელი, შემთხვევითი ადამიანი. უნდა დავუკვირდეთ ადამიანებს გულმოდგინედ და უნდა შევამოწმოთ ისინი. ყოველდღიურად და ყურადღებით ვზარდოთ ისეთი მდიდარი რეზერვი, როგორიც არიან თანამგრძნობნი და კომკავშირი. დიდია ჩვენი მოთხოვნები მუშათა კლასის ავანგარდის მებრძოლისადმი. მაგრამ ეს მებრძოლები მზამზარეულად არ იბადებიან. პარტიაში თვითეული შემსვლელი კიდევ გაივლის ბოლშევიკურ რიგებში პოლიტიკური წრთობის დიდ სკოლას. მნიშვნელოვანია შევარჩიოთ პატიოსანი, იდეური, ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებმაც გვიჩვენეს თავისი თავდადება სამუშაოზე, რომლებიც ბოლშევიკთა რიგებში შედიან ერთადერთი მიზნით— მოწინავე რიგებში იბრძოლონ სოციალიზმისათვის მისი მტრების წინააღმდეგ.

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიულები ციდან არ ვარდებიან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პარტიული თვითონ ოდესღაც უპარტიო იყო. დღეს ის უპარტიოა, ხვალ კი პარტიული გახდება. რა არის აქ საყოყოჩო? ჩვენს შორის, ძველ ბოლშევიკებს შორის, ცოტა არ მოიძებნება ისეთი ადამიანები, რომლებიც პარტიაში მუშაობენ 20-30 წელიწადი. მაგრამ ჩვენც ხომ ოდესღაც უპარტიოები ვიყავით. რა დაგვემართებოდა, რომ 20-30 წლის წინათ მაშინდელ პარტიულებს ამპარტავნულად დაეწყოთ ჩვენთვის ყურება და არ დავეშვით პარტიაში? შესაძლებელია, რომ ჩვენ მაშინ პარტიისაგან მთელი რიგი წლებით ვიქნებოდით დაშორებული". (სტალინი).

ბოლშევიკთა განმასხვავებელი თვისება მუდამ იყო მათი უშუალო კავშირი უპარტიო მასებთან. პარტია მუდამ იზრდებოდა იმ უპარტიო აქტივის ხარჯზე, რომელსაც პარტიული აგიტატორები და ორგანიზატორები ჰქმნიდნენ ფაბრიკებში, ქარხნებში. რამდენიმე წელიწადში, რომელთა მანძილზედაც მიღება დახურული იყო, ყოველგან იზრდებოდა რეზერვი აქტივისტებისა, რომლებიც მხურვალედ ოცნებობენ კომუნისტურ პარტიაში შესვლაზე. ეს განსაკუთრებით ეხება კომკავშირს. კომკავშირში ცოტა როდია ისეთი ადამიანები, რომლებიც ღირსნი არიან იყვნენ პარტიის რიგებში. არიან ასაკგადაცილებულნი, ადამიანები, რომლებსაც ორი ხუთწლედის სკოლა გაუვლიათ. არიან ახალგაზრდა ძალები, ნიჭიერი მუშაკები, რომლებიც ხელმძღვანელი სამუშაოსთვისაც კი არიან გამოსადეგნი ეს —პარტიის რიგების ცუდი შევსება როდია. მაგრამ ამ შევსებაზედაც ცოტას ჰფიქრობენ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კომკავშირს.

არ დავუბრუნდეთ ჯგუფური, ნაჩქარევი მიღების მეთოდებს, რაც დაგმობილია პარტიის მიერ, ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიის ზრდას — აი ის მოთხოვნები რომლებსაც უყენებენ ყოველ პარტიულ ორგანიზაციას. ვიყოთ ფხიზელნი, დავიცვათ პარტიული რიგების სიწმინდე! პარტიის კარებს არ მივაკაროთ მტრები, დამპალი ადამიანები, ვიცოდეთ, თუ რა ადამიანი მიდის პარტიაში, ვიცოდეთ მისი წრე, კავშირურთიერთობა. ყურადღებით მივუდგეთ კომკავშირელთა პარტიაში მიღებას. მნიშვნელოვანია არა მარტო დამკვრელური მუშაობის მაჩვენებლები წარმოებაში, პოლიტიკური სიმწიფე, არამედ ადამიანის ეთიკური სახეც. ცნობილია, რომ მტრები თავიანთ საშინელ ქსელში ითრევდნენ ახალგაზრდობას საყოფაცხოვრებო გახრწნის მეთოდით. იდეური აღზრდით, პროპაგანდისტული ძალებით, ყოველდღიური ყურადღებით უნდა დავეხმაროთ კომკავშირს — აღზარდოს კომუნისტთა სახელწოდების ღირსი ადამიანები. მარტო ლამაზი სიტყვებით კი არ უნდა ვილაყბოთ ცვლის შესახებ, არამედ ნამდვილად ვამზადოთ ეს ცვლა პარტიისათვის!

ყოველდღიურად შევისწავლოთ პარტიასთან ახლო მდგომი უდიდესი აქტივი, გავაძლიეროთ მისი პოლიტიკური აღზრდა, უარვყოთ ავტომატიზმი მიღების ხელმძღვანელობაში — აი რა არის ახლა საჭირო. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ თვალის ჩინივით უნდა დავიცვათ პარტია დანაგვიანებისაგან. და შევავსოთ მისი რიგები მხოლოდ ისეთი მებრძოლებით, რომლებსაც შეუძლიათ მტკიცედ იარონ ფეხდაფეხ ლენინ-სტალინის პარტიის რკინის მწკრივებში.

„პრავდის" მოწინავე, 10/VIII

საომარი მასალა და იარაღი, რომელიც ესპანეთის რესპუბლიკურმა ჯარებმა ამას წინათ ცენტრალურ ფრონტზე წინწაწევის დროს წარმოებულ ბრძოლებში მეამბოხეებს წაართვეს.

ფოტო „სოიუზფოტოსი".

ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი.

თანახმად ჰავასის სააგენტოს ცნობებისა, რესპუბლიკელებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას სესენიის სექტორში, (მადრიდის სამხრეთით), 9 აგვისტოს დილით დაიკავეს მარჯვე პოზიციები მაღლობებს შორის სესენიის აღმოსავლეთით. დაკავებული პოზიციები რესპუბლიკელებს საშუალებას აძლევს ყუმბარები დაუშინონ ფრონტის გასწვრივ მიმავალ გზას. 9 აგვისტოს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე, რომლებიც მდებარეობს ვილანუევა დე ლა კანიადის აღმოსავლეთით (მადრიდის დასავლეთით). მაგრამ მეამბოხეებს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს. რესპუბლიკელებმა წარმატებით მოიგერიეს მეამბოხეთა ყველა იერიში. კარაბანჩელის სექტორში გრძელდება მიწისქვეშ ომი. რესპუბლიკელები აფეთქებენ მეამბოხეების მიერ გამაგრებულ ცალკეულ სახლებს.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი.

თანახმად ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობისა, მთავრობის ჯარების ნაწილებმა, რომლებიც მოქმედებენ რუდილიის სექტორში (20-22 კილომეტრზე კალამოჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით), 2 აგვისტოს ოდნავ გაასწორეს თავისი ხაზები, რათა უზრუნველეყოთ მათ მიერ დაკავებული პოზიციების მეტი სიმტკიცე. ამ უბანზე მეამბოხეთა ოთხი ჯარისკაცი გადავიდა რესპუბლიკელთა მხარეზე.

სამხრეთის ფრონტი.

სამხრეთის ფრონტზე საომარი მოქმედება 9 აგვისტოს განისაზღვრებოდა თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლით.

შეტაკებანი მეამბოხეთა ბანაკში

პარიზი, 10 აგვისტო (საქდესი). რესპუბლიკელთა პოზიციების სიახლოვე მეამბოხეთა პოზიციებთან (ზოგჯერ სულ რამდენიმე მეტრით) ხშირად საშუალებას აძლევს რესპუბლიკელებს გაიგონ, რა ხდება მეამბოხეთა შორის. ჩრდილოეთის ფრონტზე, როგორც რესპუბლიკელი მეომრები გადმოგვცემენ, უთანხმოება მეამბოხეთა შორის ძალიან ხშირად თავდება ნამდვილი შეტაკებით; მიმართავენ შაშხანებს, ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევებსაც კი. ასეთი შეტაკება მოხდა 8 აგვისტოს მეამბოხეთა ბანაკში — ბერენდულში და კომპლასერის გვირაბში.

3 აგვისტოს ტეტუანში ჩამოსულმა 275 დაჭრილმა მაროკოელმა განაცხადა, რომ გრენადის რაიონში ამას წინათ მოხდა გააფთრებული შეტაკება მაროკოელებსა და უცხოეთის ჯარებს შორის. მოკლული და დაჭრილია 150 კაცი, მეტწილად იტალიელები.

ჩინეთის ამბები

იაპონიის ჯარების იერიში მოგერიებულია

შანხაი, 10 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „შიშისინბაო" იუწყება, რომ გუშინ იაპონიის ჯარებმა იერიში მიიტანეს ჩინელებზე ძინხაის სადგურის რაიონში, ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე. იერიში მოგერიებულ იქნა. იაპონიის ჯარებმა უკან დაიხიეს. ჩინელთა მიერ მიღებულმა დამხმარე ძალებმა დაიკავეს რაიონი ძინხაის ჩრდილოეთით.

სენტრალ ნიუსის სააგენტო იტყობინება, რომ გუშინ ბეიპინში შევიდა 3 ათასამდე იაპონელი ჯარისკაცი.

იაპონიის სამხედრო სამინისტროს ბრძანება

ტოკიო, 10 აგვისტო (საქდესი). ნამდვილ სამსახურში მყოფ ოფიცერთა მზარდ ნაკლებობასთან დაკავშირებით, სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვით სათადარიგო ოფიცრები დაშვებული იქნებიან სამხედრო ინსტრუქტორთა თანამდებობებზე, როგორც განათლების სამინისტროს, ისე კერძო საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩინეთის ჯარები წინააღმდეგობას უწევენ იაპონიის აგრესორებს

შანხაი, 10 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „დაგუნბაო" იუწყება, რომ 9 აგვისტოს დილით იაპონიის ჯარებმა 1 ათასი კაცის რაოდენობით და ძლიერი საარტილერიო ცეცხლის დახმარებით ახალი იერიში მიიტანეს დესინკოუსა და ერდაოგუანზე (იანცინის აღმოსავლეთით, ჩახარის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში). იაპონელებს ჩინეთის ჯარებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამო იაპონელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ დიდი ზარალით. იაპონიის სარდლობას ამ რაიონში დამხმარე ძალები გადაჰყავს გუბეიკოუდან. 9 აგვისტოს დილით ტიანძინის სამხრეთით მდებარე რაიონში იაპონიის ჯარებმა ხელმეორედ მიიტანეს იერიში ძინხაიზე (ტიანძინ პუკოუს რკინიგზა). ჩინელთა ჯარებმა იერიში მოიგერიეს და იაპონელებმა კვლავ დაიხიეს ტულიჩენისკენ.

პროვინციების ხელმძღვანელებთან ჩან კაი-შის თათბირის გამო

შანხაი, 9 აგვისტო (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ჩან კაი-შისა და პროვინციების სხვადასხვა ხელმძღვანელს შორის ხუთი დღის თათბირის შედეგად მიღწეულია ერთსულოვანი შეთანხმება ჩრდილო ჩინეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. გადაწყვეტილებანი არ არის გამოქვეყნებული.

ხუნჯაოს აეროდრომზე მომხდარი ინციდენტის დაწვრილებითი ცნობები

შანხაი, 10 აგვისტო (საქდესი). დღეს გამოირკვა ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა ინციდენტისა, რომელიც მოხდა გუშინ საღამოს ხუნჯაოს აეროდრომზე, შანხაიში. ავტომობილი იაპონელი მეზღვაურებით გააჩერა ჩინელთა დამცველმა რაზმმა, როდესაც ისინი ცდილობდნენ ძალით შეჭრილიყვნენ აეროდრომის ტერიტორიაზე. სროლის დროს მოკლულ იქნა იაპონიის ოფიცერი და ერთი მეზღვაური, აგრეთვე ერთი ჩინელი ჯარისკაცი. შანხაის მერმა კატეგორიულად უარჰყო იაპონელთა მოთხოვნა ინციდენტის საერთო გამოძიების შესახებ. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რათა მოკლულ იაპონელთა გვამები გადაეცეს იაპონიის საზღვაო დესანტის სარდლობას და ინციდენტი გადაწყდეს დიპლომატიური გზით.

გაცხოველება იაპონიის სამხედრო მრეწველობის საწარმოებში

ტოკიო, 10 აგვისტო (საქდესი). ჩრდილო ჩინეთში საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, თვალსაჩინო გაცხოველება ემჩნევა იაპონიის სამხედრო მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც აფართოებენ წარმოებას და განუწყვეტლივ აგროვებენ ახალ მუშებს.

გაზეთი „ციუგაი ნიოგის" ცნობით, რევოლვერების დამამზადებელმა ქარხნებმა ამ დღეებში მიიღეს დიდი შეკვეთები არმიისაგან.

გემთმშენებელი კომპანია „ურაგა დოკი", გაზეთ „ნიპონ კოგიოს" ცნობით, ტომისკაში, ტოკიოს ახლოს, აშენებს თოფხანას. ამ ქარხანაში სამუშაოდ მოწვეულია 10 უცხოელი სპეციალისტი.

იაპონელ რეზიდენტთა ევაკუაცია

ტოკიო, 10 აგვისტო (საქდესი). საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ „იაპონელ რეზიდენტთა ევაკუაცია მდინარე იანცზის ველიდან შანხაიში 9 აგვისტოს დამთავრდა".

ჰაერსაწინაღო თავდაცვის ღონისძიებანი

ტოკიო, 10 აგვისტო (საქდესი). ნიხონ სეიტეცის კონცერნის რკინისა და ფოლადის ჩამომსხმელი უდიდესი საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან იავატაში, კიუსიუს კუნძულზე, შეუდგნენ ჰაერსაწინაღო თავდაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განხორციელებას. ამ ღონისძიებათა გასატარებლად უკვე დახარჯულია დაახლოებით ერთი მილიონი იენი. ახდენენ ბრძმედებისა და მარტენების შენიღბვას იმ ვარაუდით, რომ არ გამოჩნდეს ძათი ალი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, გაზეთი „ნიცი ნიცის" სიტყვით, ამზადებს განსაკუთრებული ბიუროს შექმნას „ჰაერსაწინაღო თავდაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისათვის", ამ მიზნებისათვის დასახულია დაიხარჯოს 10 მილიონი იენი 5 წლის განმავლობაში.

ჩინელ სტუდენტთა დაბრუნება სამშობლოში

ტოკიო, 9 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „ასახის" სიტყვით, ჩრდილო-ჩინეთის „ინციდენტის" დაწყების მომენტიდან დღემდე იაპონიიდან ჩინეთში დაბრუნდა ჩინელ სტუდენტთა საერთო რაოდენობით 80 პროცენტი, რომლებიც იაპონიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და რომელთა რიცხვი. 3.800-ს უდრის.

იაპონიის მრეწველობის სიძნელენი

ტოკიო, 10 აგვისტო (საქდესი). აგვისტოს პირველ დეკადაში იაპონიის ექსპორტი ჩინეთში ფაქტიურად შესწყდა. ხელოვნური აბრეშუმის მრეწველობის მეწარმეთა ფედერაციამ დაადგინა ნართისა და ქსოვილის წარმოება ხელოვნური აბრეშუმიდან შეამციროს 20-დან 30 პროცენტამდე „ვიდრე ჩრდილო-ჩინეთის ინციდენტი მოგვარდებოდეს".

იაპონიის სახაზინო „ნისინკისენ კაისიამ" გამოაცხადა, რომ ტვირთის უქონლობის გამო შეწყვეტილია რეგულარული რეისები მდინარე იანცზიზე.

ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიის მეტალურგიული მრეწველობა სიძნელეებს განიცდის იმის გამო, რომ 3 აგვისტოდან შესწყდა რკინის მადნის მოტანა მდინარე იანცზის ველიდან.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნის შესახებ

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის
ბრძანება

1937 წ. 10 აგვისტო. № 145 ქ. მოსკოვი.

1. მუშურ-გლეხური წითელი არმიის, შინსახკომის მესაზღვრე და შინაგანი დაცვის რიგებიდან დათხოვნილ იქნას გრძელვადიან შვებულებაში ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა, რომელმაც გაიარა უწყვეტი სამსახურის დაწესებული ვადები:

ა) 2 წლის ვადიანი სამსახურის ნაწილებიდან—1935 წ. გაწვეულნი;

ბ) 3 წლის ვადიანი სამსახურის ნაწილებიდან—1934 წ. გაწვეულნი;

გ) 4 წლის ვადიანი სამსახურის ნაწილებიდან—1933 წ. გაწვეულნი;

დ) უმაღლესი განათლების მქონე პირნი—1936 წელს გაწვეულნი, ხოლო საზღვაო ფლოტიდან—1935 წელს გაწვეულნი, რომელთაც ჩააბარეს გამოცდები თადარიგის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სახელწოდებაზე.

2. დათხოვნა მოხდეს:

ა) მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებიდან ა. წ. 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე.

ბ) შინსახკომის მესაზღვრე დაცვიდან—1937 წ. 1 დეკემბერს, ხოლო შინსახკომის შინაგანი დაცვიდან —1937 წლის 30 დეკემბრისათვის.

3. ბრძანება გამოეცხადოს ყველა ასეულს, ესკადრონს, ბატარიას, გუნდს, რაზმს. დივიზიონს, გემსა და ეკიპაჟს.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი—კ. ვოროშილოვი

○

მორიგი გაწვევის შესახებ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის
ბრძანება

1937 წ. 10 აგვისტო, № 146 ქ. მოსკოვი.

1. გაწვეულ იქნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნამდვილ სამხედრო სამსახურში ა. წ. 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მოქალაქენი, რომელნიც დაბადებული არიან 1915 წელს და არ ყოფილან გაწვეულნი 1936 წელს. და მთლიანად 1916 წ. დაბადებულ მოქალაქეთა კონტინგენტი, აგრეთვე უფროს ასაკთა მოქალაქენი, რომელთაც გაუთავდათ გაწვევის გადადებული ვადა.

2. 1907 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც წინათ სარგებლობდნენ გაწვევის ვადის გაგრძელებით, განთავისუფლებულ იქნან გაწვევისაგან და გადაირიცხონ პირველი რიგის თადარიგში.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი—კ. ვოროშილოვი

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი რეორგანიზებულია. კომიტეტი დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე, გ. არუთინოვი, ფ. მახარაძე, ე. ბედია. ვ. გოგეშვილი, კ. ბუჯიაშვილი, თ. კორსაველი. კ. ჭკუასელი, ა. აბაშელი, ი. აბულაძე, ა. აგრბა, ა. ამატუნი, მ. ბაგიროვი, ა. ვასაძე, ი. ვეფხვაძე, შ. ლამბაშიძე, კ. კეკელიძე, გ. ქიქოძე, გ. კილაძე. ი. კოჭლამაზაშვილი, ა. მარგარიანი, ა. მგელაძე, ი. ნიკოლაძე, გ. სტურუა, გ. ტაბიძე, ა. ტოლსტოი, ა. ხუსკივაძე, კ. ჩარკვიანი, ე. გორდელაძე, ი. ჯავახიშვილი, ი. ჯიჯოევი, დ. დემეტრაძე, ა. დუდუჩავა, პ. ინგოროყვა, ს. ჩიქოვანი, ა. შანიძე, ს. შანშიაშვილი, პ. შარია, ს. ეული.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. ვ. ბაქრაძე, თავმჯდომარის მოადგილედ— ა. დუდუჩავა, პასუხისმგებელ მდივნად—დ. დემეტრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის ოლქკომში

სოხუმი, 9 აგვისტო (საქდესი). საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის ოლქკომში გაიმართა რაიკომთა და სოხუმის ქალაქკომის მეორე მდივნების, ინსტრუქტორებისა და პროპაგანდისტების საოლქო თათბირი იმის შესამოწმებლად, თუ როგორ სრულდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნის შესახებ ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით. საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

გამოსულნი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი სტალინური კონსტიტუციის პროპაგანდა და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ახსნა-განმარტება მშრომელთათვის.

ამასთან ერთად თათბირზე გამომჟღავნდა სერიოზული ნაკლოვანებანი, აგიტაციისა და პროპაგანდის საქმის დაყენებაში. გაგრის რაიონში მშრომელების მიერ ახალი საარჩევნო კანონის შესასწავლად მოეწყო 300 წრე, მაგრამ ყველა წრე როდი მუშაობს რეგულარულად. სოხუმისა და გუდაუთის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ არის გაშლილი მასობრივი აგიტაცია, მრავალი წრე ზერელედ ატარებს მუშაობას.

თათბირზე გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) ოლქკომის მდივნები ამხ. გობეჩია და ქიქორია. მათ მკაცრად გააკრიტიკეს დეფექტები პარტიული მუშაობის დაყენებაში, მისცეს კონკრეტული მითითებანი, თუ როგორ აღმოიფხვრას უფრო სწრაფად ნაკლოვანებანი და გაუმჯობესდეს სტალინური კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის აგიტაცია და პროპაგანდა.

◆ ◆ ◆

მოხსენება პარტიის VI ყრილობის 20 წლისთავთან დაკავშირებით

10 აგვისტოს, 350 მეტი პროპაგანდისტი შეიკრიბა ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში. თბილისის პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა მოისმინეს მოხსენება თემაზე: „რსდმპ (ბოლშევიკების) VI ყრილობა და ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების ისტორიული მნიშვნელობა".

მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. კ. დემეტრაძემ. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა პარტიის VI ყრილობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში და მოიყვანა ფაქტები დიდი სტალინის უდიდესი როლის შესახებ ყრილობის მოწვევის, მასზე პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმეში და ამხანაგ სტალინისა და მისი მოწაფის ს. ორჯონიკიძის შეურიგებელი ბრძოლის შესახებ ხალხის საზიზღარ მტრებთან — ტროცკისტულ - ბუხარინულ მოაზროვნეთა წინააღმდეგ ამ ყრილობაზე და სხვ.

მოხსენების დასასრულს ამხ. დემეტრაძემ მოუწოდა პროპაგანდისტებს, რათა ჩვენი პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიის ღრმად შესწავლით მაღლა ასწიონ ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე (საქდესი).

◆ ◆ ◆

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პლენუმი

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

9 აგვისტოს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხები თანამგრძნობთა შორის მუშაობასა, ჩაის პლანტაციის მოვლის გაუმჯობესებასა და ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობაზე. მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 17 ამხანაგი. რაიკომის მდივანმა ამხ. ზარამიამ პლენუმის ყურადღება გაამახვილა თანამგრძნობთა შორის მუშაობაზე, ჩაის პლანტაციის მოვლის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე და ტროცკისტ-მავნებელთა მხილებასა და მათი განადგურებისათვის ბრძოლაზე.

პლენუმმა რაიკომის მეორე მდივნად აირჩია მირცხულავა, მესამე მდივნად კალანდია. პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ლავრენტი ბერიას.

ზარქუა

თავთავიანი კულტურების აღება

სსრ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობა 1937 წლის 5 აგვისტოსათვის თავთავიანი კულტურების აღების მიმდინარეობის შესახებ

რესპუბლიკები მხარეები და ოლქები	მომკილია						გალეწილია				კოლმეურნ.		აღებულია კომბაინებით	
	სულ		აქედან				სულ		აქედან					
				საბჭოთა მეურნ.										
	ათას ჰექტარობით	%%-ით გეგმის მიმართ	კოლმეურნეობებში (%%-ით გეგმის მიმართ)	საბჭ. მეურნ. სახ. კომის. (%%-ით გეგმის მიმართ)	მიწსახკომის (%%-ით გეგმის მიმართ)	კვებ. მრეწვ. სახ. კომის. (%%-ით გეგმის მიმართ)	ათას ჰექტარობით	%%-ით მომკილის მიმართ	კოლმეურნეობებში (%%-ით მომკ. ფართ. მიმართ)	საბჭ. მეურნ. სახ. კომ. საბჭ. მეურნეობებში (%%-ით მომკ. ფართ. მიმართ)	ძნებად შეკრულია და აღებულია კომბაინებით (%%-ით მომკ. ფართ. მიმართ)	დაზვინულია, დაწყობილია ფარდულ ქვეშ, გატანილია და აღებულია კომბაინებით (%%-ით მომკ. ფართ. მიმართ)	მტს კოლმეურნეობებში (%%-ით გეგმ. მიმართ)	საბჭ. მეურნ. სახ. კომ. საბჭ. მეურნეობებში (%%-ით გეგმ. მიმართ)
რსფსრ	25867	40	41	31	35	54	11102	43	40	94	85	60	34	92
უკრაინის სსრ	14448	96	97	94	83	93	8631	60	58	96	91	80	87	2
ბელორუსიის სსრ	1552	77	78	74	51	26	246	16	16	24	94	80	23	31
აზერბეიჯანის სსრ	549	76	77	100	93	9	234	43	42	100	77	71	75	103
საქართველოს სსრ	275	62	68	—	64	100	97	35	38	—	81	73	98	—
სომხეთის სსრ	66	18	19	—	2	84	14	21	23	—	91	80	11	—
თურქმენეთის სსრ	118	75	74	85	91	—	63	53	54	48	13	13	76	63
უზბეკეთის სსრ	719	65	65	79	97	—	501	70	67	100	35	35	65	93
ტაჯიკეთის სსრ	214	40	41	78	77	50	106	50	49	86	4	4	61	125
ყაზახეთის სსრ	709	17	18	13	28	19	345	49	46	78	48	73	14	12
ყირგიზეთის სსრ	215	29	28	10	24	73	118	55	55	84	56	72	49	26
რუსეთის სფს რესპუბლიკის მხარეები, ოლქები და რესპუბლიკები														
აზოვ-შავიზღვის მხარე	4920	93	95	88	97	97	3767	77	74	98	77	85	93	86
შორეულ აღმოსავლეთის მხარე	8	1	2	—	—	2	4	50	50	—	50	50	2	—
დასავლეთ ციმბირის მხარე	57	1	1	0.01	—	—	6	11	11	100	56	21	0.3	0.01
კრასნოიარსკის მხარე	9	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორჯონიკიძის მხარე	1800	97	99	93	90	85	1299	72	70	99	79	93	87	95
ვორონეჟის ოლქი	2605	71	73	35	35	56	610	23	22	79	94	43	32	30
აღმოსავლეთ ციმბირის ოლქი	0.1	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	—	—
გორკის ოლქი	666	48	49	23	11	16	44	7	6	30	49	31	6	10
დასავლეთის ოლქი	1303	64	65	40	34	53	217	17	17	36	84	67	13	17
ივანოვის ოლქი	313	43	45	17	25	13	37	12	11	66	98	41	24	15
კალინინის ოლქი	502	41	42	40	8	38	61	12	12	22	97	51	7	2
კიროვის ოლქი	475	25	25	9	3	5	22	5	4	31	97	6	3	5
კუიბიშევის ოლქი	1391	37	39	18	16	30	441	32	29	86	90	37	22	17
კურსკის ოლქი	2127	79	80	50	47	79	588	28	27	66	93	58	35	33
ლენინგრადის ოლქი	356	82	82	23	19	27	39	11	11	38	100	31	12	15
მოსკოვის ოლქი	1570	59	60	35	33	50	212	15	14	80	89	49	20	30
ომსკის ოლქი	11	1	1	—	—	—	2	18	18	—	64	27	0,2	—
ორენბურგის ოლქი	715	25	27	17	12	41	444	62	59	37	79	68	21	17
სარატოვის ოლქი	929	32	34	21	32	40	471	51	49	87	74	57	20	20
სვერდლოვსკის ოლქი	89	5	5	—	—	—	5	6	6	—	71	7	0.2	—
ჩრდილოეთის ოლქი	84	10	10	6	—	—	2	2	2	6	52	5	4	1
სტალინგრადის ოლქი	1811	60	61	55	91	82	1275	70	69	94	71	87	53	76
ჩელიაბინსკის ოლქი	127	4	5	1	1	2	55	43	45	—	61	51	3	0.1
იაროსლავლის ოლქი	187	25	26	21	6	20	12	6	6	37	97	11	6	12
თათართა ასსრ	764	34	33	14	9	22	81	11	11	27	99	15	7	5
ბაშკირეთის ასსრ	339	15	16	2	1	18	43	11	10	92	89	17	4	3
დაღესტნის ასსრ	196	62	89	99	77	100	84	43	41	94	70	57	96	112
ყაბარდო-ბალკარეთის ასსრ	79	76	81	64	33	100	47	59	55	97	80	68	82	63
ყალმუხეთის ასსრ	126	99	99	88	100	79	68	54	48	80	41	82	92	83
კარელიის ასსრ	6	14	14	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კომის ასსრ	1	2	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყირიმის ასსრ	742	100	100	100	96	99	688	93	93	100	85	96	97	104
მარის ასსრ	100	28	28	—	14	—	6	6	6	—	96	10	—	—
მორდვის ასსრ	382	57	58	22	10	36	43	11	11	38	94	31	11	9
ვოლგის-გერმანელთა ასსრ	527	50	51	40	25	80	316	60	59	92	76	72	43	33
ჩრდილო-ოსეთის ასსრ	25	90	91	—	—	64	10	40	40	—	100	64	71	—
უდმურტთა ასსრ	156	23	23	12	—	—	5	3	3	16	91	7	2	3
ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ	95	74	84	88	74	100	59	62	61	100	92	82	112	89
ჩუვაშეთის ასსრ	224	47	48	—	10	29	9	4	4	—	98	15	9	—
უკრაინის სსრ ოლქები და ავტონომიური რესპუბლიკა														
ვინიცის ოლქი	1502	94	94	68	100	86	540	36	36	70	93	72	68	45
დნეპროპეტროვსკის ოლქი	2951	99	99	100	98	100	2474	84	83	99	85	91	94	100
დონეცის ოლქი	1604	91	94	86	100	100	1098	68	70	96	76	79	92	84
კიევის ოლქი	1863	95	95	92	80	89	708	38	37	64	96	74	81	64
ოდესის ოლქი	2709	99	99	98	100	100	2157	80	78	99	89	89	92	99
ხარკოვის ოლქი	2459	95	96	86	82	94	1215	49	48	83	99	78	68	71
ჩერნიგოვის ოლქი	1065	96	95	85	95	82	266	25	25	58	96	60	59	69
მოლდავეთის ასსრ	295	99	99	—	100	98	181	61	62	—	100	90	93	—
ყაზახეთის სსრ ოლქები														
აქტიუბინსკის ოლქი	90	35	37	16	—	34	41	46	44	74	41	72	27	13
ალმა-ატის ოლქი	74	16	16	5	—	53	30	41	41	94	64	62	14	6
აღმოსავლეთ-ყაზახეთის ოლქი				(გამოტოვებულია)										
დასავლეთ. ყაზახ. ოლქი	143	51	53	43	—	79	69	48	46	66	43	88	47	85
ყარაგანდის ოლქი	10	3	4	2	—	—	—	—	—	36	—	—	—	1
კუსტანაის ოლქი				(გამოტოვებულია)										
ჩრდილო-ყაზახ. ოლქი	21	2	2	1	—	—	7	33	30	65	40	40	1	0.4
სამხრეთ. ყაზახ. ოლქი	292	60	62	66	—	100	169	58	55	94	55	83	62	66
უზბეკეთის სსრ ავტ. რესპუბ.														
კარა-კალფაკთა ასსრ	5	34	36	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
აზერბეიჯანის სსრ ავტ. რესპუბ.														
ნახჩევნის ასსრ	21	—	—	—	—	—	6	29	—	—	100	100	—	—
სულ სსრ კავშირში	44732	50	51	39	44	63	21465	48	46	93	85	67	44	41
იყო 37 წ. 31 ივლისისათვის	37165	41	42	32	34	52	17351	47	44	94	84	61	38	34
იყო 36 წლის 5 აგვისტოს	50930	57	59	47	58	73	25330	50	48	85	81	76	64	46

შენიშვნა: ყირგიზეთის სსრ-ზე საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ცნობები არის 31 ივლისისათვის. ყარა-კალფაკთა ასსრ-ზე ცნობები არის 31 ივლისისათვის.

„იაპონიის პროლეტარული პარტიის" განცხადება

ტოკიო, 10 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „სიაკაი უხდო ცუსინი" ამ დღეებში აღნიშნავდა, რომ ნიხონ მუსანტოს პარტიის („იაპონიის პროლეტარული პარტია") ცენტრალურმა კომიტეტმა პარლამენტის საგანგებო სესიის წინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ პარტია საგანგებო სესიაზე მოითხოვს „საბჭოთა კავშირ-იაპონიის და ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობათა გაუმჯობესებას". ამ განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ჩრდილო-ჩინეთის „ინციდენტი" მოგვარებულ უნდა იქნას მშვიდობიანი საშუალებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, რისთვისაც საჭიროა დაიწყოს დიპლომატიური მოლაპარაკება იმ გამოსავალ მდგომარეობისაკენ დაბრუნების შესახებ, რომელიც არსებობდა ჩრდილო-ჩინეთში ამბების დაწყებამდე.

კონოეს მთავრობის საფინანსო—ეკონომიური პოლიტიკის შესახებ განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი ნაკარნახევია მსხვილი კაპიტალის მიერ და გამოიწვევს სიძვირის შემდგომ ზრდას, მშრომელი მასების მდგომარეობის გაუარესებას და იაპონიის ფაშიზაციის გაძლიერებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მეტად უმნიშვნელოა ის დახმარება, რომელსაც უწევენ ჩრდილო-ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით მობილიზებულ რეზერვისტთა ოჯახებს.

◇

საჰაერო მანევრები ინგლისში

ლონდონი 10 აგვისტო (საქდესი). ინგლისში დაიწყო დიდი საჰაერო მანევრები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებს 400 სამხედრო თვითმფრინავი. საზენიტო არტილერია, პროჟექტორთა ბატარიები და მიწის ზედაპირის მეთვალყურეთა კორპუსი. ამ მანევრებში გამოცდილი იქნება თავდასხმისა და თავდაცვის ყველა საშუალება, აგრეთვე გამოყენებული იქნება მრავალი ახალი საიდუმლო მასალა. მანევრების მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში ნათქვამია, რომ თუმცა თავდამსხმელი ყუმბარმტყორცნები დიდად დაზარალდნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათ მიაღწიეს თავის მიზანს. მანევრების პირველ 3 ნახ. საათში 180 ყუმბარმტყორცნმა მოახდინა 30 თავდასხმა. ზოგიერთ ცნობაში აღნიშნულია, რომ ომის პირობებში სულ ცოტა 90 ყუმბარმტყორცნი მაინც იქნებოდა მოსპობილი. ცნობებში განსაკუთრებით არის აღნიშნული მუშაობა მიწის ზედაპირის მეთვალყურეთა კორპუსისა, რომელიც საშუალებას აძლევდა ავიაგამანადგურებელთა სარდლობას ემოქმედნა სწრაფად და თავიდან აეცილებინა მრავალი საჰაერო იერიში.

◇

ინციდენტი საფრანგეთის გემ. „მარეშალ ლიოტეიზე"

პარიზი, 10 აგვისტო (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება კასაბლანკიდან (საფრანგეთის მაროკო), საფრანგეთის გემ „მარეშალ ლიოტეიზე" ლას პალმასში (კანარის კუნძულები) იმყოფებოდა სამი ესპანელი მგზავრი, რომელთა გაცემასაც მოითხოვდა მეამბოხეთა ხელისუფლება, აცხადებდა რა, რომ ისინი ჯარში გაწვეული არიანო. გემის ეკიპაჟმა, მიუხედავად კაპიტნისა და საფრანგეთის კონსულის რჩევისა, მგზავრები არ ჩაუშვა ნაპირზე. მაშინ გემს ალყა შემოარტყა მეამბოხეთა რამდენიმე ზარბაზნიანმა ნავმა და დაუმიზნა ტყვიამფრქვევები, გემზე ავიდა რამდენიმე ესპანელი ჯარისკაცი, რომელთაც წაიყვანეს ის სამი მგზავრი. კაპიტანი გაფრთხილებული იყო, რომ თუ ეკიპაჟი ოდნავ წინააღმდეგობას გასწევდა, სანაპირო ბატარიები ჩასძირავდნენ ხომალდს. ინციდენტის შედეგად გემი აღარ გაჩერდა ლას პალმასში.

საბჭოთა კავშირში

საუბარი მ. მ. გრომოვთან

მოსკოვი, 10 აგვისტო (საქდესი). გუშინ „პოსლედნია იზვესტია პო რადიოს" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. მ. მ. გრომოვს, რომელიც ამხ. იუმაშევთან და დანილინთან ერთად პარიზში იმყოფება.

— „მივესალმები მშობლიურ მოსკოვს, — დაიწყო თავისი საუბარი ამხ. გრომოვმა. — მალე ერთი თვე იქნება, რაც ჩვენ საბჭოთა კავშირი დავტოვეთ. ჩვენ ყველას გვენატრება სამშობლოს ნახვა. პარიზში ვფიქრობთ დავრჩეთ რამდენიმე დღეს. აგვისტოს 21 და 23 რიცხვებში ჩამოვალთ მოსკოვს.

გუშინ გვიან საღამოს, — სთქვა ამხ. გრომოვმა, — ჩვენ ვიყავით ელისეს მინდვრების თეატრში, სადაც ამჟამად საგასტროლოდ ჩამოსულია მოსკოვის სამხატვრო თეატრი. მღელვარებითა და სიხარულით ვუყურებდით ჩვენ „ლიუბოვ იაროვაიას". სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. სპექტაკლის შემდეგ ჩვენ კულისებში მიგვიწვიეს. ძალიან აგვაღელვა იმ გულთბილმა შეხვედრამ, რაც ჩვენ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის არტისტებმა მოგვიწყეს. ჩვენი შეხვედრა თეატრის მუშაკებთან დამთავრდა ოვაციით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დღეს მივდივართ საერთაშორისო გამოფენაზე. განზრახვა გვაქვს საფუძვლიანად გავეცნოთ გამოფენას, განსაკუთრებით საბჭოთა პავილიონის ექსპონატებს. დღესვე საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება საფრანგეთში, ჩვენ ჩამოსვლასთან დაკავშირებით, მართავს დიდ დარბაზობას. 12 აგვისტოს დარბაზობის დროს, რომელიც საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართება, ჩვენ იმედი გვაქვს შევხვდეთ საფრანგეთის უაღრესად გამოჩენილ მფრინავებს და კონსტრუქტორებს.

საუბრის დასასრულს ამხ. გრომოვმა სთქვა:

— ერთხელ კიდევ მივესალმები მოსკოველებს და მთელს ჩვენს დიად ქვეყანას.

ამხ. ჩკალოვი გორკში

გორკი, 10 აგვისტო (საქდესი). ქალაქ გორკის პარტაქტივი შეხვდა თავის წარჩინებულ თანამემამულეს საბჭოთა კავშირის გმირს ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვს. კრებაზე ჩკალოვი გამოვიდა დიდი საინტერესო მოხსენებით გმირული გადაფრენის შესახებ.

ჩკალოვს, ტრიბუნაზე გამოჩენისას შეხვდნენ ხანგრძლივი ტაშით და „ვაშას" შეძახილებით ხალხთა ბელადის დიდი სტალინის პატივსაცემად, სახელოვანი გმირი მფრინავების პატივსაცემად.

კრების დახურვისას, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანმა იული მოსეს-ძე კაგანოვიჩმა ქალაქის პარტიულ აქტივს მოუწოდა, რათა მათ გამარჯვების ისეთივე მტკიცე ნებისყოფით, ისეთივე ენერგიით იბრძოლონ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, როგორითაც ჩკალოვი და მისი ამხანაგები იბრძოდნენ.

„მიხეევის ეკიპაჟი"

საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ბლიუხერის წერილი 9 შვილის მამას

მოსკოვი, 10 აგვისტო (საქდესი) არტელ „12 ლეტ ოქტიაბრიას" (კუიბიშევის ოლქი) კოლმეურნე—9 შვილის მამა დიმიტრი თედორეს-ძე მიხეევი ამასწინათ დაბრუნდა შორეულ-აღმოსავლეთიდან, სადაც შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ წითელდროშოვან არმიაში მსახურობს მისი ოთხი შვილი. დ. თ. მიხეევმა შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. ბლიუხერს გაუგზავნა წერილი თხოვნით—მისი შვილებისაგან შექმნას სატანკო ეკიპაჟი.

მარშალმა ტელეგრაფით უპასუხა:

ძვირფასო დიმიტრი თედორეს-ძევ! სულითა და გულით მოგესალმებით თქვენ, როგორც ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს პატრიოტს. გულწრფელად ვნანობ, რომ სამსახურებრივ გარემოებათა გამო პირადად ვერ შეგვხვდით თქვენ. თქვენს წერილში აღტაცებით ლაპარაკობთ შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის მეომრებსა და მეთაურებზე და ამბობთ—„რა კარგი ხალხია წითელ არმიაშიო!"

ძვირფასო დიმიტრი თედორეს-ძევ! ეს ხალხი ხომ—თქვენი შვილებია, ესენი თქვენი შვილები არიან სისხლითაც და კლასითაც. ეს მართლაც რომ მაგარი ხალხია, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს ლენინ-სტალინის პარტია, თავისი ქვეყანა და მზად არის სიცოცხლე შესწიროს სოციალიზმის საქმეს.

გმადლობთ, დიმიტრი თედორეს-ძევ! დიდი წითელარმიული მადლობა შვილებისათვის, იმისათვის, რომ თქვენ მათგან აღზარდეთ ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები. გპასუხებთ, რომ თქვენი „მიხეევის ეკიპაჟი" შეიქმნება.

სალამი! გულწრფელად გართმევთ ხელს!

საბჭოთა კავშირის მარშალი

ბლიუხერი.

ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე

მოსკოვი, 10 აგვისტო (საქდესი). გემები, რომლებიც ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზით მიდიან, ლაპტევის ზღვაში და კარის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში წააწყდნენ დიდ ყინულებს. ყინულმჭრელ „ერმაკიდან" იუწყებიან, რომ 7 აგვისტოს გემი იმყოფებოდა ჩელუსკინის კონცხის ჩრდილოეთით 11 მილის მანძილზე ყინულის მთლიან ველებში. 8 აგვისტოს სტერლეგოვის კონცხის ჩრდილო-დასავლეთით 38 მილის მანძილზე ყინულმჭრელი „რუსანოვი" შეხვდა ყინულებში მდგომ გემებს „ისკრას", „მოლოტოვს" და „კინგისეპს". ყინულმჭრელ „ლიტკეს" ლაპტევის ზღვის ყინულებში მიჰყავს გემები „მოსსოვეტი" და „პრავდა". გემებმა უკვე ჩაუარეს პრონჩიშჩევას ბუხტს.

„ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურზე

10 აგვისტოს 13 საათზე „ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე სადგურის კოორდინატები იყო შემდეგი: განედის 87 გრადუსი და 45 წუთი და დასავლეთის გრძედის 3 გრადუსი.

სადგურზე ძლიერ თოვდა. ხილვადობა — 1 კილომეტრი. ჰქროდა ხუთბალიანი ქარი. ტემპერატურა — 0 გრადუსი.

დაიწყო ყურძნის კრეფა

დონის-როსტოვი, 10 აგვისტო (საქდესი). ანაპის რაიონსა და ნოვოროსიისკის ზონაში დაიწყო სუფრის ჯიშის ყურძნის პირველი კრეფა. მოსავალი ყველგან დიდია. კოლმეურნეობა „ზნამია კომუნის" ცალკეულ ნაკვეთებზე სუფრის ჯიშის მოსავალი აღწევს 12-15 ტონას ერთ ჰექტარზე. მინიმალური გამოანგარიშებით, ყურძნის საშუალო მოსავალი ამ მხარის შავი ზღვის სანაპიროზე იქნება არანაკლებ ათი ტონისა ერთ ჰექტარზე.

თერგმა ნაპირები გადმოლახა

ორჯონიკიძე, 10 აგვისტო (საქდესი). ცხელმა და წვიმიანმა დღეებმა, რასაც თან სდევდა ძლიერი თავსხმა, გააძლიერა წყლის მდინარება მთებიდან. თერგმა ოთხ ადგილას, დაწყებული ყაზბეგიდან სოფელ ბალთამდე, გადმოლახა ნაპირები და წალეკა საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელოვანი უბნები. საავტომობილო მოძრაობა თბილისსა და ორჯონიკიძეს შორის დროებით შეჩერებულია. წყალი ემუქრება თერგის შესართავთან მდებარე სოფლებს.

დ. ლამარინი

რამის სამრეწველო ათვისების საკითხი

საფეიქრო მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში რამს მომავალში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. რამი განსხვავდება თავისი ბოჭკოს იშვიათი სიმაგრით, დიდი სიგრძით, იშვიათი ელასტიკურობით და წარმტაცი ბზინვით.

ეგვიპტური საუკეთესო ბამბის ბოჭკოს გამძლეობა საშუალოდ 5 გრამს არ აღემატება, რამის ელემენტარული ბოჭკოს სიმტკიცე კი 35 გრამს აღწევს. მისი საშუალო სიგრძე 64 მილიმეტრს უდრის, ხოლო რთვის კოეფიციენტი 0,95-ს.

ამჟამად რამის ბოჭკოს წარმატებით იყენებენ აბრეშუმის საქსოვ წარმოებაში, საკამვოლო-სართავ მრეწველობაში. რამის ბოჭკოსაგან მზადდება ფართო მოხმარების ქსოვილები (ბატისტი, შიფონი, ნანსუკი, ტიკ-ლასტიკი და სხვ.). უკანასკნელ დროს მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე საავტომობილო და საავიაციო მრეწველობაში, საოკეანო მეთევზეობაში, ქაღალდის მრეწველობაში და ფეხსაცმლის წარმოებაში.

სწორედ ამით აიხსნება ის თავგამოდებული და შეუნელებელი ბრძოლა, რომელსაც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში აწარმოებს ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია რამის სამრეწველო ათვისების ფრონტზე.

ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში რამის ბოჭკოზე მოთხოვნილება უმაგალითოდ გაიზარდა. თუ 1914 წელს ევროპაში რამის იმპორტი 130 ათასი ჩინური პიკულით (ჩინური პიკული უდრის 69,48 კილოგრამს) განისაზღვრებოდა, დღეს ევროპას იაპონიიდან და ჩინეთიდან ყოველწლიურად შეაქვს 25 ათასი ტონა რამის კარგად დამუშავებული ბოჭკო. ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო ბაზარზე საგრძნობლად აიწია რამის ფასმაც. ლონდონის ბირჟაზე ერთი ტონა რამის ბოჭკო 80 გირვანქა სტერლინგს ფასობს.

ამჟამად რამს საქართველოში 900 ჰექტარი ფართობი უკავია, აქედან კოლხიდის დაბლობში—585 ჰექტარი.

წინასწარი ვარაუდით, 1942 წელს რამის კულტურას საქართველოში დაეთმობა 3000 ჰექტარი ფართობი, ხოლო რამის მწვანე ღეროს წლიური მოსავალი 90 ათას ტონას მიაღწევს.

რამის სამრეწველო ათვისების პრობლემა სამ ძირითად საკითხს შეიცავს, — სახელდობრ: რამის პირველადი გადამუშავებისა და გაფართოვების, მისი ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციისა და რამის რთვის ათვისების საკითხებს.

საქართველოში რამის პირველადი გადამუშავების ამჟამად არსებული საწარმოო ბაზა წარმოდგენილია 17 სადეკორტიკაციო დანადგარითა და ერთი სადეგუმაციო ქარხნით ქ. ცხაკაიაში.

დეკორტიკაცია—ღეროდან ლაფანის მიღება; დეგუმაცია — ლაფანიდან ბოჭკოს მიღება. სადეკორტიკაციო დანადგარების მაქსიმალური სიმძლავრე 10 ათას ტონა მწვანე ღეროს არ აღემატება, სადეგუმაციო ქარხანა კი წლიურად გადაამუშავებს მხოლოდ 50 ტონა ლაფანს.

თავისთავად ცხადია, რომ რამის ნედლეულის მარაგის გადიდებასთან ერთად აუცილებელია მისი პირველადი გადამუშავების საწარმოო ბაზის გაფართოვება ნედლეულის მოყვანის რაიონებში ახალი სადეკორტიკაციო და სადეგუმაციო დანადგარების მშენებლობის გზით.

სადეკორტიკაციო წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციის მხრივ მთავარი ამოცანა მდგომარეობს მოძველებული სისტემის სადეკორტიკაციო მანქანების იაპონური სისტემის ახალი მანქანებით შეცვლაში.

ჩვენში გავრცელებული სადეკორტიკაციო მანქანა უშვებს ეპიდერმისაგან (მწვანედ შემღებავი ნივთიერება) დაუწმენდავ ლაფანს. ეს იწვევს შემდგომი დეგუმაციის გართულებას, მიღებული ბოჭკოს თვითღირებულების გაძვირებას (ერთი ტონა ბოჭკოს დამზადება ცხაკაიას ქარხანაში ამჟამად 40.000 მანეთი ჯდება), ლაფანისაგან ბოჭკოს შედარებით მცირე გამოსავლიანობას (ეს უკანასკნელი 30-35 პროცენტს არ აღემატება), რთვის პროცესში ბოჭკოებზე გაუსკვნელი კვანძების გაჩენას და ამ ნიადაგზე ძაფების ხშირ გაწყვეტას.

იაპონური სისტემის სადეკორტიკაციო მანქანა კი იძლევა ეპიდერმისაგან სრულიად დაწმენდილ ლაფანს, რომელიც ევროპისა და ამერიკის ბაზარზე ცნობილია „ჩაიონოგრასის" სახელწოდებით. ასეთი ლაფანის დეგუმაცია მეტად გაადვილებულია, შედარებით იაფი ჯდება და ბოჭკოს გამოსავლიანობაც დიდია (70-75 პროცენტი).

ამ მანქანას მხოლოდ ერთი უარყოფითი მხარე აქვს: იგი შედარებით მცირე წარმადობისაა (წუთში 100 ღეროს ატარებს). ჩვენს პირობებში აუცილებელია მისი წარმადობის ერთიორად მაინც გადიდება. ასეთი ღონისძიების გატარებით სადეკორტიკაციო მეურნეობის მოსაწყობად საჭირო კაპიტალური დაბანდება საგრძნობლად შემცირდება.

რამის სამრეწველო ათვისების ყველაზე რთულ საკითხს რამის ბოჭკოს რთვის საკითხი წარმოადგენს.

ჩინეთსა და იაპონიაში არსებული რთვის მეთოდი საიდუმლოდ ინახება, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში რამის სპეციალური რთვის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ემინდინგენში (გერმანია) არსებულ ქარხანას, რომელიც აგრეთვე საიდუმლოდ ინახავს თავის მეთოდს.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ცდამ,—რამის რთვა დაეფუძნებინათ სელის რთვის მეთოდზე—უნაყოფოდ ჩაიარა. რამის ბოჭკოს მეტრული ნომერი სელის ნომერთან შედარებით ოთხჯერ დაბალია (რამის ბოჭკოს საშუალო ნომერი უდრის 2000, სელის ნომერი კი—8000-ს). ბოჭკოს შემადგენელი ერთეულების სიგრძე ხასიათდება დიდი ინტერვალებით (50-300 მილიმეტრი, მაშინ როდესაც სელის ინტერვალი შეადგენს 25-30 მილიმეტრს). ამავე მიზეზით შეუძლებელი გახდა რამის რთვის დამყარება ბამბის რთვის მეთოდზე.

რამის სპეციალური რთვის საკითხის გადაწყვეტამდე, ნედლეულის მარაგის დიდ დაგროვებასთან დაკავშირებით, აუცილებელია რამის ბოჭკოს რთვა დაეფუძნოს მხუთარი აბრეშუმის ანუ საპენიაჟო რთვის მეთოდს. მართალია, საპენიაჟო რთვა ტექნოლოგიურად რთულია, მოითხოვს შედარებით დიდ კაპიტალურ დაბანდებას და მაღალი თვითღირებულების პროდუქციას იძლევა, მაგრამ ამჟამად ის რამის რთვის ერთადერთ შესაძლებელ მეთოდს წარმოადგენს.

რამის სართავ-საქსოვი ფაბრიკა, რომელიც ალბათ ქ. ცხაკაიაში აშენდება, ყოველწლიურად გადაამუშავებს 3000 ტონა ბოჭკოს, ის გამოუშვებს პროდუქციის სხვადასხვა ასორტიმენტს: ზღვის თოკებს, საავიაციო ტექნიკურ ქსოვილებს (საპარაშუტო თოკები), გაფისულ ძაფს და ფართო მოხმარების ქსოვილებს.

ამ უკანასკნელ ხანებში რამის საბადე თოკებზე მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. იაპონელ მეთევზეთა შრომის უმაგალითოდ მაღალი ნაყოფიერება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საიდუმლოებით იყო მოცული. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ იაპონელ მეთევზეთა შრომის დიდი ნაყოფიერება აიხსნება იმით, რომ ისინი თავიანთ ბადეებს რამის თოკისაგან აკეთებენ. ეს უკანასკნელი კი წყალში გასაოცარი სისწრაფით იძირება.

ფაბრიკა გამოუშვებს ფეხსაცმლის წარმოებისათვის საჭირო გაფისულ ძაფს. ამ უკანასკნელის გამოყენებით ფეხსაცმლის წარმოებაში წუნი ერთიორად მცირდება, ხოლო ფეხსაცმლის გამძლეობა ერთიორად მატულობს.

ფართო მოხმარების ქსოვილთა დარგში ფაბრიკა დაამზადებს უმთავრესად ბატისტს, ნამსუკს და ტიკლასტიკს.

სართავი ფაბრიკის ქ. ცხაკაიაში აგების ვარიანტი საბუთდება შემდეგი მოსაზრებით: ჯერ ერთი, ქ. ცხაკაია ტერიტორიულად სადეკორტიკაციო და სადეგუმაციო წარმოების ცენტრია. მეორე, სათბობის და ელექტროენერგიის მომარაგების თვალსაზრისით ქ. ცხაკაია კარგ პირობებში იმყოფება. ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები რკინიგზის ხაზს სულ 100 კილომეტრის მანძილითაა დაშორებული, ხოლო ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი უშუალოდ ქ. ცხაკაიაში გაივლის. მესამე, ქ. ცხაკაიის რაიონში ამჟამად უკვე არსებობს სადეგუმაციო ქარხანა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა იძენს რამის დამუშავებისათვის საჭირო საწარმოო ჩვევებს და გამოცდილებას.

რამის სართავ-საქსოვი ფაბრიკის აგებით ქ. ცხაკაია საკავშირო მნიშვნელობის საფეიქრო ცენტრად გადაიქცევა.

◆

პროფესორ ენტონის აღმოჩენა

ლონდონი, 9 აგვისტო (საქდესი). დღეს სამხრეთ და აღმოსავლეთ ინგლისში დაიწყება ჰაერსაწინაღო მანევრები. მონაწილეობას მიიღებს 400 თვითმფრინავი. ჰაერსაწინაღო დაცვის და დაკვირვების ნაწილებთან ერთად. გამოსცდიან საჰაერო თავდასხმებისა და ბომბარდირების სხვადასხვა მეთოდს ჰაერსაწინაღო დაცვის ეფექტიურობის შესამოწმებლად.

გაზეთი „პიპლი" იუწყება, რომ საჰაერო თავდასხმებთან ბრძოლის ერთერთ ძირითად ხერხს წარმოადგენს პროფესორ ენტონის აღმოჩენა, რაც მდგომარეობს ქიმიურ ნივთიერებათა და გაზების მოქმედების რადიოთი გადაცემაში.

ენტონიმ განაცხადა:

„შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ განცხადებით ჩვენ თითქოს ვაშკარავებთ ჩვენს საიდუმლოებას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი არსებითი დეტალები გადამცემ აპარატში, რომლებიც გვაძლევენ დიდ უპირატესობას: ამ აპარატურით ჩვენ შეგვიძლია ჩავახშოთ ყოველგვარი გადაცემა, თუ ვინმე შეეცდება იერიში მოიტანოს ჩვენზე ამავე საშუალებით. რადიოსხივებით გადაცემის დისტანციისა და მიმართულების რეგულირება შეიძლება ისეთივე სიზუსტით, როგორც მძიმე არტილერიის სროლაა. ეს აპარატები შეიძლება დაიდგას თვითმფრინავებზე და საბარგო ავტომობილებზე თავდასხმისათვის მოხერხებულ ადგილებში გადასასროლად".

ენტონიმ დასძინა, რომ პირველად გამოყენებული იყო ლურჯად მღებავი მჟავას ტალღები, მაგრამ ამავე გზით შეიძლება მომაკვდინებელ ავადმყოფობათა გადაცემაც. უკანასკნელი ცდების დროს ერთ ადგილას დაიდგა 6 ყუმბარმტყორცნი, ხოლო 3 მილის მანძილზე მათგან — ახალი აპარატები. ყუმბარმტყორცნებს ებრძანათ აფრენილიყვნენ. ერთდროულად ამოქმედებულ იქნა აპარატები. შედეგად საწვავი მასალა თვითმფრინავების ბაკებში გაფუჭდა და ვერცერთი თვითმფრინავი ვერ აფრინდა.

აღმოჩნდა, რომ ყოველ ნივთიერებას აქვს ტალღის საკუთარი სიგრძე, პირველად მოხდა 1927 წელს ბაქტერიოლოგიური გამოკვლევათა დროს. ენტონი ამტკიცებს, რომ არსებული რადიოსადგურები შეიძლება გადაქცეულ იქნას სიკვდილის მთესველ სადგურებად.

მაგრამ, დასძინა მან, ეს აღმოჩენა შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისთვისაც. მაგალითად, შვრიით დათესილ მინდორზე მოხდენილ იქნა რადიოსხივების ზემოქმედება. მოსავალი ამ ნაკვეთზე ოთხჯერ მეტი მოვიდა, ვიდრე მეზობელ ნაკვეთზე, რომელზედაც სხივების ზემოქმედება არ მოუხდენიათ.

◇

დარბაზობა საბჭოთა სპორტსმენების პარიზში ყოფნის გამო

პარიზი, 10 აგვისტო (საქდესი). დღეს საბჭოთა სპორტსმენების პარიზში ყოფნის გამო სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში ამხ. სურიცმა გამართა დარბაზობა. დამსწრეთა შორის იყვნენ მინისტრის ამხანაგი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში, საფრანგეთის სასპორტო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სიშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდის დამყარებაში გამარჯვებული გმირი მფრინავები ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი, თვალსაჩინო წარმომადგენლები მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრისა, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება—ლეონიდოვი, ხმელევი, პრუდკინი და სხვ.

დარბაზობის დროს ამხ. სურიცმა დამსწრეთა ხანგრძლივი ოვაციის გრიალში დალია საბჭოთა კავშირის და საბჭოთა კავშირის ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის სადღეგრძელო, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების სადღეგრძელო. დარბაზობამ განსაკუთრებით გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

◇ ◇ ◇

ბრძოლა 15 ათასი კილოგრამი გერანის ზეთისათვის

სოხუმი, 8 აგვისტო (საქდესი). საქართველოს გერანის გასაშენებელი ძირითადი ბაზა—საბჭოთა მეურნეობა „მე-3 ინტერნაციონალი" (დირექტორი ორდენოსანი ამხ. ცომაია) შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს, რათა მოიპოვოს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლება. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება მისცეს ქვეყანას 50 კილოგრამი გერანის ზეთი თითო ჰექტარზე, სულ 15 ათასი კილოგრამი, ნაცვლად 8 ათასი კილოგრამისა, რასაც გეგმა ითვალისწინებს.

ნათესი ფართობის მთელ 300 ჰექტარზე სწარმოებს შეუპოვარი ბრძოლა მოსავლისათვის. საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო სტახანოველი ქალის ამხ. პეტროვსკაიას ბრიგადა მწვანე მასის ყველაზე მეტ მოსავალს იღებს. ეს მწვანე მასა უზრუნველჰყოფს თითო ჰექტარზე 82 კილოგრამი ზეთის მიღებას.

გერანის მოჭრა წელს გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე შარშან. საბჭოთა მეურნეობის ზეთსახდელმა ქარხნებმა უკვე გამოიმუშავეს ათასხუთას კილოგრამამდე ზეთი. აქედან 400 კილოგრამი ფილტრშია გატარებული და უკვე გაეგზავნა საბჭოთა კავშირის საპარფიუმერიო ფაბრიკებს.

ჩაის სამუშაოებში ჩამორჩენა

ტყიბულის რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 180 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ე. ი. ყოველი ჰექტარიდან საშუალოდ 1034 კილოგრამი.

წელს პირველ ხანებში ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით მიმდინარეობდა. მაისისა და ივნისის გეგმა 130,6 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ყურადღების შესუსტების შედეგად ივლისში ჩაის ფოთლის კრეფა ჩამორჩა. რაიონმა ვერ შესძლო მიღებული წარმატებების შენარჩუნება და განმტკიცება. ამავე დროს, რაიმიწგანში ფიქრობენ, რომ გეგმას აუცილებლად შეასრულებენ, მაგრამ „ფიქრი-ფიქრად“ რჩება.

ჩაის პლანტაციების გათოხნის საქმეში პირდაპირ საგანგაშო მდგომარეობაა. რაიონში პლანტაციების პირველი გათოხნის გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით, 773 ჰექტარის ნაცვლად გათოხნილია 737 ჰექტარი. ჩაის კოლმეურნეობებმა და კერძოდ მათმა თავმჯდომარეებმა ერთგვარი „შესვენებას“ მისცეს თავი.

რაიონში, გეგმის თანახმად, პლანტაციების მეორედ გათოხნა უნდა დამთავრებულიყო პირველი ივლისისათვის, მაგრამ დავალება დღესაც ჟაუხალდებელია. მაგალითად, ლელევის კოლმეურნეობა „სინათლე-ს“ (თავმჯდომარე ვლ. ქარქაშაძე) უნდა გაეთოხნა 11,8 ჰექტარი პლანტაცია, გათოხნა მხოლოდ ერთი ჰექტარი. ბუეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამ. ბრეგაძე) 15,9 ჰექტარის ნაცვლად გათოხნილია 10,9 ჰექტარი.

ასეთივე მდგომარეობაა რაიონის თითქმის ყველა დანარჩენ კოლმეურნეობაში. მათ ჩაის პლანტაციების მეორედ გათოხნის გეგმა საშუალოდ შესრულებული აქვთ 50-60 პროცენტით.

მალე პლანტაციების მესამედ გათოხნის ვადებიც ამოიწურება, ამ სამუშაოს კი ჯერაც არ შესდგომიან.

ნაკლები ყურადღება ექცევა ჩაის მავნებლებთან ბრძოლის საქმესაც. რაიმიწგანმა კოლმეურნეობებს დროზე ვერ მიაწოდა დელფინის საპონი, რაც მათ ჩაის მავნებელთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი. ესაა ჩაის მწვანე ფოთლის უწესო გადაზიდვა. ქვედა ჭყეპის კოლმეურნეობამ („წითელი სხივი“) ამ მხრივ ყველაზე მეტად „ისახელა“ თავი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ერმინე ჭიქაბერიძის განკარგულებით, გოდრებს ჩაის ფოთლით ჭარბად სტენიან და ისე გადააქვთ ორპირის ჩაის ფაბრიკამდე. (გოდორში ჰყრიან 110 კგ., ნაცვლად 15 კილოგრამისა), რაც იწვევს ტემპერატურის აწევას და ჩაის ხარისხის გაუარესებას.

არაწესიერად ტარდება აგრეთვე ბრიგადებსა და ჯგუფებზე ჩაის პლანტაციების მიმაგრება. გურნის ლ. ბერიას და ცხის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში ახლაც არაორგანიზებულად ტარდება ეს საქმე და უფრო ფორმალურ ხასიათს ღებულობს.

ივ. ხუხუა.

მზადება აბაშის რაიონში

(აბაშა, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

აბაშის რაიონი დროულად შეუდგა საქ. სას.-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის მზადებას.

ამ საკითხზე საკავშირო სას.-სამ. გამოფენის კომიტეტის დადგენილებისა (რომელიც დამტკიცებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. სახკომსაბჭოს მიერ) და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომმა, წინასწარი სამზადისის ჩატარების შემდეგ, 6 ივლისს მოიწვია რაიონის პარტიული და საკოლმეურნეო აქტივის, მტს-ის და მიწგანის წარმომადგენლებისა და სპეციალისტების თათბირი. თათბირზე კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებმა მიიღეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომელთა შესრულება უზრუნველჰყოფს საკ. სას. - სამ. გამოფენაში მონაწილეობას. ეს ვალდებულებანი შემდეგია: სიმინდის კულტურის მოსავალი ჰექტარიდან 14,5 ცენტნერის ნაცვლად აყვანილ უნდა იქნას 18-20 ცენტნერამდე. როგორც მიმდინარე, ისე მომავალ წელს სიმინდის ნათესები უნდა გაითოხნოს 3-ჯერ, ხოლო სათესლე ნაკვეთები 4-ჯერ. მაღალი მოსავლის მიღების მიზნით, სათესლე ნაკვეთებში შეტანილ უნდა იქნას ორგანიული სასუქი, მოსავალი აღებულ უნდა იქნას უდანაკარგოდ. თათბირის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება სრულმოსავლიანი მანდარინის ბუჩქიდან მიიღონ 400 ცალი ნაყოფი, რამის სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეული ჰექტარიდან 15 ტონა ნედლეული, არახისი—10 ცენტნერი, თითო დედა-ღორზე შეინარჩუნონ წლიურად 13 გოჭი, წონით 700 კლგ., მეწველი ძროხისაგან მიიღონ 1200 ლიტრი რძე და ნამატი შეინარჩუნონ 100 პროცენტით.

აღნიშნული საკითხი ადგილებზე დაამუშავეს მიმაგრებულმა ამხანაგებმა და იგი დაყვანილ იქნა თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე, ჯგუფამდე. გაშლილია სოციშეჯიბრება როგორც კოლმეურნეობებს შიგნით, ისე კოლმეურნეობათა შორის.

შემთხვევითი როდია, რომ აბაშის რაიონში მიმდინარე წელს სხვადასხვა კულტურის ნათესები საუცხოო პირობებშია მოვლის მხრივ და მოსავალსაც ძალზე კარგი პირი უჩანს.

რაიონის კოლმეურნეები, საკოლმეურნეო სასაქ. ფერმები ბოლშევიკურად იბრძვიან აღებულ კონკრეტულ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

გრ. გეგენავა

გაგრის რაიონის საბჭოთა მეურნეობის „III-ინტერნაციონალის“ სტახანოველი მატრონა ვიდეხინა გერანის მოკრეფის ნორმას 250 პროც. ასრულებს.

სურათზე: ამხ. ვიდეხინა მოკრეფილი გერანით.

თბილისის ტრამვაის პარტიული ორგანიზაციის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ჟუდოვი (მარჯვნიდან მესამე) ატარებს ჯგუფურ კონსულტაციას „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესახებ.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ხელმძღვანელობა უნდა გაუმჯობესდეს

(ჭიათურა, ვოროშილოვის სახ. მაღარო)

ვოროშილოვის სახელობის მაღარომ ყოველდღიურად უნდა მოგვცეს 600 ტონა გაურეცხავი და 300 ტონა გარეცხილი მადანი. მაგრამ მაღარო გეგმას ვერ ასრულებს. გასულ ექვს თვეში 88,8 ათ. ტონა მარგანეცის ნაცვლად გამოიღეს 67,9 ათ. ტონა. 44,4 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქციის ნაცვლად დაამზადეს 31,6 ათ. ტონა.

ცუდად დაიწყო მესამე კვარტალიც. ივლისის 27 დღეში გამოღების გეგმა შესრულებულია 71,8 პროცენტით, გარეცხვისა — 92,4 პროცენტით.

ივლისის მესამე დეკადაში სასაქონლო პროდუქციის დამზადებას ერთგვარი აღმავლობა დაეტყო, მაგრამ ეს არა შველის საქმეს.

უკანასკნელ დროს მაღაროში გაცხოველდა მუშაობა მავნებლობის შედეგების სალიკვიდაციოდ. მეხუთე გვირაბი უახლოეს ხანში ამუშავდება. პირველ უბანში უკვე გაიხსნა მავნებელ გ. ხვიჩიას და ნ. ბუბუტეიშვილის მიერ განზრახ გაუქმებული 10, 22, 24 და 33 სანგრევები, მაგრამ მავნებლობის შედეგების სალიკვიდაციოდ ყველაფერი ასე არ კეთდება, როგორც საჭიროა. შეცდომებს და გაუგებრობებს კვლავ აქვს ადგილი. მაგალითად, ახლად გახსნილ მეცხრე გვირაბსა და მის გვერდით მეათე შტრეკში უკვე ფუჭი ქანს მიადგნენ. აქიდან სჩანს, რომ ამ მაღაროს მარგანეცის ველი გეოლოგიურად არ არის შესწავლილი. მექანიზაციის გატარების საქმეში კიდევ სუფევს უდარდელობა. წლის დასაწყისში დამატებით უნდა დადგმულიყო 10 ჯალამბარი, დღემდე ერთიც არ არის დადგმული. ამუშავებენ კერძო პირების ცხენებს, რომელთა შენახვაზე დიდძალი თანხა იხარჯება, ამით იზრდება პროდუქციის თვითღირებულება. პირველ უბანში ტონა გაურეცხავი მარგანეცის თვითღირებულებამ გეგმით გათვალისწინებული 11 მან. 71 კაპ. ნაცვლად 14 მან. და 28 კაპ. მიაღწია, ხოლო ტონა გარეცხილი მარგანეცისამ — 11 მან. და 32 კაპიკის ნაცვლად — 13 მანეთსა და 78 კაპ.

მაღაროში სტახანოველთა და დამკვრელთა რაოდენობა თანდათან მცირდება. ეს იმიტომ ხდება, რომ სტახანოველებს სათანადო დახმარება და ხელშეწყობა არა აქვთ. ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა მაღაროში მუშათა დენადობა. სუსტია შრომის დისციპლინაც.

ექვსი თვის განმავლობაში მაღარო უმიზეზოდ მოსცდა 606 საათს, ქარხნები — 377 საათს. მეორე კვარტალის პირველ ორ თვეში (აპრილი, მაისი) გაცდენებმა იკლო, მაგრამ შემდეგ კვლავ აიწია, ივნისში მაღარო მოსცდა 83 საათს, ქარხნები — 58 საათს.

მუშათა საქმიან მითითებებს და სიგნალებს დროზე არ ეხმაურებიან. მუშები აღნიშნავენ მარგანეცის უხარისხო აფეთქებას, სამუშაო იარაღების (წერაქვები, ნიჩბები) უვარგისობას და სხვ., მაგრამ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ნაკლებად ზრუნავენ. მაღაროს ყველა შესაძლებლობა აქვს მოწინავე გახდეს, მაგრამ მისი ხელმძღვანელი მუშაკები (დირექტორი ამხ. ქამუშაძე, პარტკომის მდივანი ამხ. კობახიძე) მათ ყოველდღიურად ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ.

ახლა მაღარო მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმას ასრულებს, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. საჭიროა გარდატეხის მოხდენა მარგანეცის გამოღების საქმეშიც. საამისო პირობები აქ არსებობს.

შ. ცარციძე.

◇ ◇ ◇

კოლმეურნეობის მავნებელნი

სამტრედიის რაიონში ნაჩხეტაურის კოლმეურნეობა წლევანდლამდე ძალზე სუსტი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობა იყო. მისი ძველი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობის სამეურნეო განმტკიცებას ყურადღებას არ აქცევდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობდა.

1937 წელს კი კოლმეურნეობამ წინსვლა იწყო: 11 ჰექტარზე გააშენეს მანდარინის პლანტაცია, 6 ჰექტარზე—იაპონური ხურმა, შექმნეს მესაქონლეობის ფერმა რამდენიმე ათეული დედა-ღორითა და ძროხით.

კოლმეურნეები მუყაითად მუშაობენ. მათი ყანები ზღვასავით ღელავს და უხვი მოსავლის იმედს იძლევა. ამ კოლმეურნეობის ბოსტნებიც მშვენივრად არის მოვლილი, ნაჩხეტაურის კოლმეურნეობამ საადრეო ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა რაიონში პირველმა შეასრულა გადაჭარბებით. მან ბევრი ბოსტნეული გაიტანა საკოლმეურნეო ბაზარზე.

ამ კოლმეურნეობაში 1 ჰექტ. პამიდორის ნარგავიდან გეგმით გათვალისწინებულ 8 ტონის ნაცვლად 40 ტონა პამიდორს იღებენ. კოლმეურნეები თავიანთ ნათესებს თვალისჩინივით უვლიან. მუყაითობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ჩაჩუა, ქარჩილაძე, კომახიძე და სხვები.

მაგრამ კოლმეურნეობას მტრებიც ჰყავს. ისინი შიგნიდან ეწევიან ძირგამომთხრელ მუშაობას. მაგალითად, გრიგოლ გოგეიშვილი მესამე ბრიგადის წევრებს „ურჩევს“: „რა ძალა გადგათ, რომ ასე მუშაობთ, რა საჭიროა ბევრი მუშაობა? რატომ მაშინ არ მუშაობდით ასე როცა თავმჯდომარედ მე ვიყავი?“.

ზოგ კოლმეურნეებზე, განსაკუთრებით ქალებზე, ეს „რჩევა“ მოქმედებს და სამუშაოზე არ გამოდიან. გოგეიშვილი თავის ცოლსაც უკრძალავს კოლმეურნეობაში მუშაობას.

გოგეიშვილი, აგიტაციის გარდა, კოლმეურნეობას სხვა საშუალებითაც ებრძვის. მან კოლმეურნეობას თავისი დაუდევრობით ცხენი და ძროხა მოუკლა. უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობის ეს მტერი მარტო არ არის, მას სხვა მომხრეებიც ჰყავს, რომლებიც მასთან ერთად კოლმეურნეობის დასუსტებასა და დაშლას ცდილობენ.

ნაჩხეტაურის კოლმეურნეობის წევრები მოითხოვენ, რომ მათი მტრები, კოლმეურნეობის ზრდისა და განმტკიცების ხელისშემშლელნი, გაძევებულ იქნან. სამტრედიის რაიმიწგანი ამ კოლმეურნეობას ალბათ დღეიდან მაინც უპატრონებს.

ივ. ტაბიძე

ვიტამინები

გ. ნათაძე

კვების ინსტიტუტის ვიტამინური განყოფილების გამგე

ადამიანის საკვები ნივთიერება შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს და მარილებს.

ახლო წარსულში საკვები ნივთიერების ღირებულება მხოლოდ აღნიშნული ქიმიური შენაერთების არსებობითა და რაოდენობით განისაზღვრებოდა. დღეს საკვები ნივთიერების ღირებულება ადამიანის ორგანიზმისათვის ფასდება უკვე ვიტამინების თვალსაზრისითაც. რამდენადაც მდიდარია საკვები ნივთიერება ვიტამინებით, იმდენად უფრო მეტი ღირებულების მასალას წარმოადგენს იგი. ვიტამინებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ვიტ. A და Д ორგანიზმის ზრდა-განვითარების პერიოდში. ვიტამინებით ღარიბი საკვები ნივთიერება იწვევს მთელ რიგ მძიმე დაავადებას, ორგანიზმის მოდუნებას, რის გამო ორგანიზმი უფრო ადვილად ხდება ინფექციის მსხვერპლი და უფრო მძიმედ იტანს დაავადებას.

იმ სპეციფიკურ ფაქტორს, რომლის საკვებ ნივთიერებაში არყოფნა იწვევს პოლინევრიტს, რაქიტს, პელაგრას, სკორბუტს და სხვ., პირველად კ. ფუნკმა უწოდა ვიტამინები, ხოლო იმ დაავადებას, რომელიც ვითარდება ვიტამინების არყოფნით—ავიტამინოზი.

1912-13 წ. კ. ფუნკმა მოგვცა მეცნიერული დასაბუთება არა მხოლოდ პოლინევრიტის განვითარების მიზეზისა, არამედ მთელი რიგი სხვა დაავადებებისაც, რომელნიც არასაკმაო კვებასთან არიან დაკავშირებულნი.

დღემდე ცნობილი ვიტამინებიდან ვიტამინი A წარმოადგენს ზრდისა და ანტიქსეროფტალმიის (თვალის რქოვანი გარსის დაავადების საწინააღმდეგო) ფაქტორს, ვიტამინი B [illegible] ანტიპოლინევრიტული ფაქტორი, ვიტამინი B^2 — ანტიპელაგრული, ვიტამინი C — ანტისკორბუტული, ვიტამინი Д — რაქიტის საწინააღმდეგო ფაქტორი, ხოლო ვიტამინი E წარმოადგენს განაყოფიერების ფაქტორს. ასეთია მთავარი ვიტამინების მოკლე დახასიათება.

მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროდან ვიტამინების საკითხი პრაქტიკულ გამოყენების გზაზე დადგა. საბჭოთა კავშირში ამ უკანასკნელ დროს ფართოდ გაიშალა არა მხოლოდ ვიტამინების შესწავლა, არამედ მათი პრაქტიკული გამოყენებაც. ლენინგრადსა და მოსკოვში, კვების ინსტიტუტების გარდა, დაარსდა სპეციალური საკავშირო სამეცნიერო ვიტამინური ინსტიტუტი, სახელმწიფო საკონტროლო ვიტამინური სადგური, ვიტამინების ფაბრიკა-ქარხნები, ლაბორატორიები და სხვ.

სურსათ - სანოვაგის ფაბრიკები სარგებლობენ ვიტამინური ფაბრიკების მიერ გამოშვებული კონცენტრატებით, ამდიდრებენ თავიანთ ნაწარმოებებს, როგორც მაგალითად, მარგარინს, შოკოლადს, მარმელადს და სხვა საშაქარლამო პროდუქციას; ამგვარად, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ღებულობს სრული ღირებულების საკვებ ნივთიერებებს.

1935 წელს საბჭოთა კავშირში უკვე დამზადებული იყო ვიტამინ C კონცენტრატის 3 მილიონი ადამიანის დოზა. 1936 წელს დაგეგმილი იყო 35 მილიონი ადამიანის დოზა.

პროფ. გოლოვინის ცნობით, 1937 წ. გათვალისწინებულია ვიტამინ C-ს 150 მილიონი ადამიანის დოზის დამზადება. მესამე ხუთწლედის პირველ წელშივე დაახლოვებით 300 მილიონი ადამიანის დოზა უნდა დამზადდეს, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის—2 მილიარდი.

ჩვენ გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ მთელი რიგი ხილეული და ბოსტნეული. მაგალითად, ჩვენი მანდარინის წვენის 1 კილოგრამი შეიცავს ვიტამინ C-ს 500 ბიოლოგიურ ერთეულს, ლიმონისა—680-ს, მწვანე წიწაკისა—1224-ს, ოხრახუშისა—2068-ს, ჩაის მწვანე ფოთლისა—960-ს, სალათისა—444-ს, მარწყვისა—287-ს. განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენენ საქართველოს ასკილები. მაგალითად, ზოგიერთი ასკილის ჯიშის ფხვნილის 1 კილოგრამი შეიცავს 40 ათას ბიოლოგიურ ერთეულს, ასეთი აქტივობა პირველი შემთხვევაა (ადამიანის პროფილაქტიკური დოზა 20 ზღვის გოჭის ბიოლოგიურ ერთეულს უდრის).

საქართველო თავისი მდიდარი ფლორით წარმოადგენს ნედლეულის მშვენიერ ბაზას და სწორედ ამიტომ აქ უნდა დაარსდეს სპეციალური ვიტამინური ლაბორატორია და საცდელი ვიტამინური ქარხანა. მრავალი და დიდი პრაქტიკული ამოცანები სდგას ვიტამინური ლაბორატორიის წინაშე. ასეთია კონცენტრატების დამზადება, წმინდა პრეპარატების მიღება, ყველა ლაბორატორიის მუშაობის დაგეგმვა და კონსულტაცია, ვიტამინების გამოყენების უშუალო ხელმძღვანელობა და სხვ.

უკვე დროა, საქ. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მიმართოს საკავშირო ორგანოებს და სერიოზულად დააყენოს ვიტამინების გამოყენების საკითხი, ხოლო თავისი პროდუქცია ვიტამინებით გაამდიდროს.

თავის მხრით საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა სავსებით უნდა უზრუნველჰყოს კვების ინსტიტუტის ვიტამინური განყოფილების მუშაობა და დააარსოს ცენტრალური სახელმწიფო ვიტამინური ლაბორატორია.

ელექტრომავლის „14—21“-ის მემანქანე ამხ. ი. ურუმბეგაშვილს უნდა გაევლო 50.000 კილომეტრი, გაიარა 52.320 კმ.

სურათზე: ამხ. ი. დ. ურუმბეგაშვილი (დგას ქვევით) და მისი თანაშემწე ა. ლ. კურუხოვი.

მავნებლობა კვლავ გრძელდება

(საქართველოს მარაგგასაღება)

საქართველოს მარაგგასაღებას უკანასკნელ დრომდე სათავეში ედგა ხალხის მტერი კონტრრევოლუციონერი—ტროცკისტი ივანიშვილი. მართალია, მას დანაშაულზე წაასწრეს და სათანადოც მიუზღვეს, მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. მავნებლური მუშაობის შედეგები დარჩა, ხოლო ზოგიერთ დარგში მავნებლობა ჯერ კიდევ გრძელდება.

მივმართოთ ფაქტებს.

უზარმაზარი საწყობები, სადაც საშენი მასალა ინახება, მოუწყობელია, სახურავები შეუკეთებელია, წყალი ჩამოდის და აფუჭებს ქიმიურ ნაწარმს, კირს და სხვ.

საღებავი ზეთის შესანახი საწყობი შეუფერებელია, სიცხის გამო ზეთი დნება და ილვრება. საჭიროა საწყობი მიწის ქვეშ მოეწყოს. წარმოების ხელმძღვანელებმა რატომღაც მთელი წლის ნორმა—4 ვაგონი ზეთი ერთად გამოიწერეს, მაგრამ მის წესიერ მოვლა-შენახვაზე თავი არავის შეუწუხებია.

მთელი რიგი პროდუქტები მინდვრად ცისქვეშ ჰყრია და ფუჭდება.

სტახანოვურ მოძრაობას აქ გასაქანს არ აძლევენ, არცერთი სტახანოველი არ არის გამოვლინებული. პირიქით, აი რას ამბობს ბრიგადირი ამხ. ხორკიშვილი:

— ჩემს ბრიგადაში 63 მუშაა, ვმუშაობთ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, ჩემი ბრიგადის წევრებს დიდი სურვილი აქვთ სტახანოველები გახდნენ, მაგრამ არ მეხმარებიან, პირიქით, ხელს გვიშლიან.

ვაგონების გადმოტვირთვის დაჩქარების მიზნით მუშებმა პრაქტიკული წინადადებები წამოაყენეს, მაგრამ ამ წინადადებებს ცხოვრებაში არ ატარებენ.

წარმოების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

დროა ძველი ხელმძღვანელობის მავნებლური საქმიანობის შედეგები აირფესვიანად აღმოიფხვრას.

გ. შონია.

დ. ჯანელიძე

„ვეფხის-ტყაოსნის“ დრამატურგია

„ვეფხის-ტყაოსნის გასცენიურების დასაბამის მისაკვლევად ზოგი რამ ძველი ქართული თეატრის ისტორიის მასალებიდან უნდა გავიხსენოთ.

XI საუკ. საქართველოში უკვე არსებულა მრჩობლთა საეკლესიო თეატრი (თეატრი ორი შემსრულებლით), რომელსაც „ღვთისმეტყველებრივ წიაღმავლობა და ცოდვილთა მოქცევა“ მოეთხოვებოდა (დავით მეფის „გალობანი სინანულისანი“). ეკლესია ყველგან ებრძოდა საერო თეატრს და საქართველოშიაც ხუცების ზეგავლენით უნდა აიხსნას, რომ დავით მეფის მიერ „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღვთისა განმრისხებელი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“ („ქართ. ცხ.“, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 372). მაგრამ, ეტყობა, ეკლესიით შერჩევნებამ, სახიობის „ღვთის განმრისხებელ გინებად“ მიჩნევამ მგოსნებისა, მუტრიბებისა და მუშაითების პოპულარობას ვერა დააკლორა.

პირიქით, XII საუკუნიდან სახიობა უკვე გაბატონებული თეატრალური სანახაობაა და მას თვით სამეფო კარი უწევს მფარველობას. თამარ მეფის ქორწილზე „იყო ზმა მგოსანთა და მუშაირეთა სახიობათა“ (ქართ. ცხ.), რუსთაველი წინააღუდგა ეკლესიას, მან აშკარად მხარი დაუჭირა ხუცების მიერ შერჩევნებულს „საეშმაკო თამაშობას“. გამოესარჩლა ეკლესიის მიერ დაგმობილ სახიობას, თავის დიდებულ პოემაში მგოსნებს, მუშაითებს, მუტრიბებსა და მომღერლებს (მოთამაშეებს) სამეფო კარზე საპატიო ადგილი მიუჩინა და ყველა ზეიმში მონაწილეობაც მიალებინა. როსტევან მეფემ

„ესე სთქვა და სიხარული,
თამაშობა ადიადა,
მგოსანი და მუშაითი
უხმეს, ჰპოვეს რაცა სადა“.

რუსთაველმა რომ „საეშმაკონი ამღერანი“ (თამაშობანი), „სახიობანი და განცხრომანი“ ადიადა, ამას ხუცები ვერ აპატიებდნენ პოეტს და, ალბათ, ამითაც აიხსნება ტიმოთე გაბაშვილისაგან მისი ძაგება: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდის წილ ბოროტი ბილწებითა და განჰრყვნან ქრისტიანობა“ („უნივერ. შრ. „გ“, 111 გვ. 209). თუ რუსთაველი ეკლესიისაგან წყევლაკრულვით მოიხსენიებოდა და მისი პოემა კი იდევნებოდა, მგოსანთა, მუტრიბთა და სახიობის ყველა მოთამაშეთა წრეში, ალბათ, მის სახელს ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებდნენ. რუსთაველმა ხომ დაბალი ჟანრიც კი, სახიობის სახელდახელო რეპერტუარად რომ გამოდგებოდა, სიბრძნის ერთ-ერთი დარგის—შაირობის გვერდით მოხსენების ღირსად სცნო და ამით მანამდე უბადალებული და ეკლესიისაგან დევნილი „სანადიმო“, „სამღერელი“ (სათამაშო), „სააშიკო“, „სალაღობო“ და სატირიკული („სათრეველი“) ლექსების მთხზველობის მნიშვნელობა აამაღლა, მეტი პატივი და ფასი დასდო მას.

რუსთაველის პოეზია აღორძინების ხანის ესთეტიკური ყოფის ღრმად სჩანს. „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი იმთავითვე დაუშრეტელ მასალად იქცა სასახიობო შესრულებისათვის და ამ მხრივაც მოთამაშეები დიდად დავალებული იქნებოდნენ დიდი პოეტისაგან. რუსთაველის ლექსებისათვის საგანგებო ჰანგები იქმნებოდა. ყველგან რუსთაველის დეკლამაცია ისმოდა, მისი აფორიზმები მოსწრებულ მუნასიბებად მიმოიბნეოდნენ, ყველგან მისი მზიური ლექსით სულჩადგმულ ჰანგებს მღეროდნენ.

დიდი პოეტის ენამზეობა და მისი შეურყეველი ავტორიტეტი ბევრ მელექსეს ძილს უფრთხობდა. ყველა ესენი,—დაწყებული სერაპიონ საბაშვილით (XVI ს.) და გათავებული თეიმურაზ II-ით (XVIII ს.) 400-600 წლის წინათ მიცვალებულ რუსთაველს გაბაასებაში იწვევდნენ და თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას ლამობდნენ. რუსთაველთან ცილობა, გაბაასება აღორძინების ხანის პოეზიის მაგისტრალურ თემად იქცა. ამ დიდმნიშვნელოვან პაექრობას, ცხადია, თავს ვერ მოარიდებდა იმდროინდელი თეატრი, და, მართლაც, დარჩენილია ცნობა, რომ ამ ცხარე ბრძოლების ასპარეზად სწორედ თეატრი გამხდარა. „რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებაში“ არჩილი ათქმევინებს თეიმურაზს:

„არც მე მწადდა აწ ბაასი,
ვთქვათ: აქებდეთ თქვენ
რუსთველსა,
ენახარბად მოუბარსა,
ვითა ტკბილი მოსდის თვალსა,
მაგრამ ავსებს თეატრონსა
ასპარეზსა, კვალაც ველსა,
ბასობენ, შეგვედრიან,
ზოგჯერ ვხედავ თვალით სველსა“.

აქედან სჩანს, რომ გაბაასება, როგორც ტრადიციული ფორმა სასახიობო დრამატურგიისა, ამ დროს, რუსთაველის თანამედროვე პოეტების პაექრობით სულდგმულობდა, და ამ გაბაასებათა წარმოდგენას, რუსთაველის ნაწარმოების შესრულებას დიდი გამოხმაურებაც ჰქონია.

XVIII ს. მეორე ნახევარში გაბრიელ მაიორს, ჩოლოყაშვილსა და ავალიშვილს რუსეთიდან ჩვენში ევროპული თეატრის ფორმები შემოაქვთ, რაც სამეფო კარის მფარველობით მკვიდრდება. სწორედ ამ დროს უნდა აღძრულიყო სურვილი „ვეფხის-ტყაოსნის“ ტრაგედიად გასცენიურებისა. მართლაც, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე იწერება პირველი ტრაგედია ტარიელ-ნესტან-დარეჯნისა, ხოლო XIX საუკ. პირველი ნახევრის დრამატურგიაში „ვეფხის-ტყაოსნის“ გასცენიურებამ მთელი ეტაპი შექმნა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს გოდერძი ფირალიშვილმა, ოქროპირ ბაგრატიონმა და გიორგი ერისთავმა (გლუხარიჩმა).

გოდერძი ფირალიშვილის მიერ გასცენიურებული „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ ოქროპირ ბაგრატიონი მოგვითხრობს: „1805 წელსა გოდერძი ფირალოვმან დაწერა სანკტ-პეტერბურღში რუსულ ენაზედ ვეფხის ტყაოსანი, ტრაღედია ხუთ მოქმედებითი, მაგრამ თეატრზედ არ უთამაშნიათ“. ამნაირად, რუსულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმნა გასული საუკუნის 40-იან წლებში კი არ იწყება, არამედ გაცილებით უფრო ადრე—1805 წელს. ეტყობა, ფირალიშვილს განზრახული ჰქონდა ტრაგედიის სცენაზე წარმოდგენით გაეცნო რუსეთის საზოგადოებრიობისათვის რუსთაველის დიადი პოემა. შესაძლებელია, ლენინგრადის არქივებში ფირალიშვილის ტრაგედია მოიძებნოს.

გიორგი ერისთავს, იმავ ოქროპირ ბაგრატიონის ცნობით, „უნდოდა, რომ ვეფხის-ტყაოსანი წარმოდგენილიყო, რავდენიც შეიძლებოდა სცენის მიხედვით, იმავე რუსთაველის ლექსებით და ამითი სხვა ახალი გვარი რამე შემოეღო“. აქედან სჩანს, რომ გიორგი ერისთავი სრულიადაც არ ფიქრობდა ამ დროისათვის დამახასიათებელი ტრადიციული დრამატიული ფორმებით შეეზღუდა პოემის გასცენიურება, ამხ. შ. რადიანმა და ი. ბალახაშვილმა ელისაბედ ერისთავის არქივში მონახეს გ. ერისთავის მიერ პიესად გასცენიურებული „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი. მათი სიტყვით: „მასში არაფერია გ. ერისთავისა, გარდა იმისა, რომ მომქმედი პირების სახელები დრამატურგიულ ფორმაშია ჩამოყალიბებული, დანარჩენში კი მთლიანად შ. რუსთაველის ტექსტია გამოყენებული“ (გ. ერისთავი—თხზ. 1936 წ. გვ. VII).

ოქროპირ ბაგრატიონის ტრაგედია დაიბეჭდა კიდეც ამ სახელწოდებით. „ვეფხის-ტყაოსანი“, ტრაღედია თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან. მოსკოვს 1853 წ.“ ოქროპირ ბაგრატიონი ცდილობს ფრანგული კლასიკური დრამის წესებს არ ასცდეს: „ამა მოთხრობითსა წარმოდგინებაში, —სწერს ის,—ვეცადე, რომ დამეცვა წესი, შესაბამი ტრაღედიისა, რაც ამ ახალ გვარს შეეფერებოდა“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ გასცენიურებაში ყველაზე საძნელოა პოემის ორი სიუჟეტური რკალის (ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტანდარეჯანის) ერთ სცენიურ რკალში მოქცევა. ეს საკითხი პირველად ოქროპირ ბაგრატიონმა აღძრა და მისი გადაწყვეტაც სცადა:—„როსტევან მეფისაგან იმიტომ მივყავ ხელი ამბავს,—სწერს ოქროპირი, — რომ რუსთაველის წარმოდგენა გვინდოდა, რა რუსთაველი როსტევანითაგან მოჰყვება ამბის თხრობას, და თუ სხვა გვარად დაგვეწყო, სხვა რამე იქნებოდა და არა რუსთაველის ამბავი. აგრეთვე, თუ დამეწყო ფარსადან ძეფისაგან, მაშინ ორი შესავალი იქნებოდა: ერთი—ტარიელის გამიჯნურება და მეორე—თინათინის ტახტზე ასვლა და ავთანდილის ამბავი, ვინაიდგან ავთანდილ არის პირველი მიზეზი ნესტან-დარეჯნის პოვნისა“ და სხვ.

ოქროპირმა ამჯობინა „რუსთაველს შესდგომოდა“, როსტევან მეფის ამბით დაეწყო და ავთანდილ-თინათინის სცენიური რკალი შეეკრა. ამნაირი მიდგომით გადასჭრა ოქროპირ ბაგრატიონმა ეს სიძნელე, რომელიც ახლაც ყველას აწვალებს, ვისაც კი „ვეფხის-ტყაოსნის“ გასცენიურებისათვის ხელი მიუყვია. ტექსტის გამოყენების მხრით ოქროპირი მეტ თავისუფლებას იჩენს, ვიდრე გიორგი ერისთავი, და იქამდეც კი მიდის, რომ რუსთაველის ტექსტს თავის ლექსებს ახმარს, რასაც „დაკავშირებად მოქმედებისა და შესაბამად თეატრისა“ იშველიებს.

წარმოდგენილი იყო თუ არა ოქროპირის ტრაგედია, ჯერჯერობით საამისო ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ იგი სცენისათვის იყო დაწერილი.

გოდერძი ფირალიშვილის ტრაგედიის დაწერის ასი წლისთავზე 900-ან წლებში რ. მყინვარი ცდილობს ბალეტი შექმნას „ვეფხის ტყაოსნის“ თემაზე.

რ. მყინვარის „სურათები სცენისათვის „ვეფხის-ტყაოსნიდან“ 1901 წ. გამოიცა პეტერბურგში. წინასიტყვაობაში ავტორს მოთხრობილი აქვს ამ სცენების წარმოშობის ამბავი. „მთლიანად პოემის თარგმნა გაძნელდა და ამის გამო გადავწყვიტე, —სწერს მყინვარი, — მომეშველებინა მუსიკა, ფერწერა და სასცენო ხელოვნება, რომ ამით ინტერესი აღძრულიყო რუსეთის საზოგადოებრიობაში ამ შესანიშნავი ნაწარმოების მიმართ“.

ოქროპირ ბაგრატიონის მონტაჟს რ. მყინვარის პიესა დიამეტრულად ეწინააღმდეგება. მყინვარის სცენები 16 სურათისაგან შესდგება, რაც პოემაში მოყოლილ ამბებად არის შეტანილი (ტარიელ-ნესტანის მიჯნურობა, ფატმან-ნესტანის შეხვედრა). მყინვარს მოქმედებაც გარდაუქმნია, ხოლო ავთანდილის მიჯნურობა მოთხრობილი აქვს და ისიც გაკვრით. თვითმპყრობელობის სულშემხუთველ პირობებში რ. მყინვარის ცდამ უქმად ჩაიარა. „ვეფხის-ტყაოსნის“ თემაზე ბალეტის შექმნა საბჭოთა ხელოვნების ღირსეული ამოცანაა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დრამატურგია ისევ უბრუნდება რუსთაველის პიროვნებას. ამ დროიდან სახელი მოიხვეჭა და რეპერტუარსაც დიდხანს შერჩა კოტე მესხის დრამა „შოთა რუსთაველი“.

ამავე ციკლს უნდა მივაკუთვნოთ კომპოზიტორის დ. არაყიშვილის ოპერის ლიბრეტო („თქმულება შოთა რუსთაველზე“), რომელიც ხალხური ლეგენდების მიხედვით არის შედგენილი.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის (1888 წ.) შემდეგ მეტად გახშირდა პოემის ეპიზოდების ცოცხალ სურათებად სცენიდან ჩვენება. ამ მხრივაც გამოჩენილი უნგრელი მხატვრის ზიჩის ილუსტრაციებმა პოემის გასცენიურებაში დიდი როლი ითამაშეს. ზიჩის ნახატების მიხედვით, ქალაქად და სოფლად ყველგან იდგმებოდა ცოცხალი სურათები „ვეფხის-ტყაოსნიდან“.

ასეთია მოკლედ „ვეფხის-ტყაოსნის“ გასცენიურების მიმოხილვა. ცხადია, პოემის გასცენიურებას ყველაზე მნიშვნელოვანი ხანა ახლა დაუდგა. მრავალ საუკუნეთა მანძილზე „ვეფხის-ტყაოსნის“ სცენისათვის „გარდათქმას“ არასოდეს არ ჰქონია ასეთი დიდი, სახელმწიფოებრივი ხელშეწყობით და მზრუნველობით უზრუნველყოფილი შესაძლებლობანი, როგორც ეს მას სტალინის ბრწყინვალე ეპოქაში აქვს. ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ შემოქმედ კოლექტივებს. ჩვენი ბედნიერი ქვეყანა მთელის რუსთაველის პოემით შთაგონებული დრამისა, ოპერისა და ბალეტის სახალხო მზიურ სპექტაკლებს.

◆

გაგრა. ჩელუსკინელთა სახელობის დასასვენებელი სახლი.
ფოტო პარასკევოპულოსი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

„კომუნისტის"
სიგნალის შემდეგ
„დირექტორი სუსტად მუშაობს"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ამბროლაურის რაიონიდან გვწერდა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი დ. მეტრეველი სუსტად მუშაობს, რის გამო ტექნიკუმის ახალი შენობის მშენებლობა დღემდის არ არის დამთავრებული, საშენი მასალა ცის ქვეშ ლპება.

ამასთანავე დირექტორი მეტრეველი უფრო მეტად დაინტერესებულია შეთავსებებით, რომ მეტი ფული მიიღოს, ხოლო კადრების მომზადებაზე ნაკლებად ზრუნავს. თუ არ ამას, აბა რას უნდა მივაწეროთ, რომ თითქმის ყველა საგანში პროგრამა შესრულებული არ არის.

საქ. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. კერესელიძე, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. სას.-სამ. ტექნიკუმში სასწავლო მეურნეობის გამგედ გაიგზავნა ახლად კურსდამთავრებული ამხ. ლომთაძე და ეს მოვალეობა ჩამოერთვა დირექტორ მეტრეველს. სასწავლო ნაწილის გამგე ნეფარიძე, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო სწავლების სწორი ორგანიზაცია და დისციპლინის განმტკიცება, განთავისუფლებულ იქნა სამუშაოსაგან.

გარდა ამისა, მშენებლობისათვის ტექნიკუმს ეძლევა საშენი მასალა მოთხოვნილებისამებრ.

◇

ი. პ. ფურცელაძე მოხსნილია სამუშაოდან

„კომუნისტის" 6 და 20 მაისის ნომრებში მოთავსებული იყო მასალები „სოიუზპრომმაგის" საქ. განყოფილებასა და მის სისტემაში არსებულ უმსგავსოებათა, გაფლანგვებისა და სხვა დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

ამ საქმეზე საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისრის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ გამოკვლევით დაადასტურა „კომუნისტში" მოთავსებული მასალების სისწორე და, გარდა ამისა, დამატებით გამოააშკარავა მთელი რიგი უმსგავსოებანი.

ამასთან დაკავშირებით, როგორც საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ბ. ფანცხავა გვატყობინებს, მისი ბრძანებით 11 აგვისტოდან სამუშაოდან მოიხსნა „სოიუზპრომმაგის" საქართველოს განყოფილების მმართველი ი. პ. ფურცელაძე.

მთელი გამოკვლევის მასალა დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა რესპუბლიკის პროკურორს.

მშენებლობა აგარაკებზე

სოცდაზღვევის საქართველოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეკეთებასა და კეთილმოწყობაზე მიმდინარე წელს 1.240 ათასი მანეთი დაიხარჯა.

წყალტუბოს დასასვენებელი სახლი კულტურულად ეწყობა. მშვენივრად გაამწვანეს ეზო, დარგეს დეკორატიული მცენარეები, მოაწყეს შადრევანი. სახლს გაუკეთდა აივანი. მოეწყო სასადილო, კლუბი და ფიზკულტურული მოედანი. ამ საქმისათვის დაიხარჯა 147 ათასი მანეთი.

ქობულეთის დასასვენებელ სახლს, რომელშიც ყოველთვე 350 კაცი ისვენებს, გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. გადაკეთდა სასადილოს შენობა და სამზარეულო. ოთახების კედლები შეღებეს ლამაზად. ეზოში დარგეს სუბტროპიკული მცენარეები. დამსვენებელთა ყურადღებას იპყრობს ეზოში მუდამ მსხმოიარე ლიმონის ხეები. დასასვენებელ სახლს აქვს მანდარინის საკუთარი მეურნეობა, რომელიც ყოველწლიურად დიდძალ შემოსავალს იძლევა.

ასევე სანიმუშოდ მოეწყო აბასთუმნის სანატორიუმი. გადაკეთდა გაგრისა და ბორჯომის დასასვენებელი სახლები. აგუძერის (აფხაზეთი) სანატორიუმს, რომელიც ყოველთვიურად 200 კაცს უწევს მომსახურებას, აქვს კულტურისა და დასვენების მშვენიერი პარკი 420 ჰექტარ ფართობზე. სანატორიუმს აქვს კარგი პლიაჟი. ამჟამად სწარმოებს წყალსადენისა და კანალიზაციის გადაკეთება. წელს აგუძერის სანატორიუმის კეთილმოწყობისათვის იხარჯება 190 ათასი მანეთი.

◇

წყალდიდობა

უკანასკნელ დღეებში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოვიდა ძლიერი წვიმა, რამაც გამოიწვია მდინარეების ადიდება. წყალდიდობას ადგილი ჰქონდა ყაზბეგის, ამბროლაურის, ონის რაიონებში, სამხრეთ-ოსეთში და სხვაგან. დაზიანებულია საქართველოს სამხედრო გზის და ოსეთის სამხედრო გზის ცალკეული უბნები, ბევრგან წალეკილია ხიდები და ბოგირები. სტალინირში ადიდებულმა ლიახვმა დააზიანა რამდენიმე სახლი, ელსადგური და წყალსადენი.

წყალდიდობის წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მისაღებად გამოყოფილია მთავრობის კომისია ამხ. ვ. ბაქრაძის (საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე), ს. გოგლიძის (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი), ა. ჭეკელიას (მიწათმოქმედების სახალხო კომისარი), ჟუჟუნავას (გზატკეცილების სამმართველოს უფროსი), ფანცხავას (შინავაჭრობის სახალხო კომისარი), კვეკვესკირის (წყალთა სამმართველოს უფროსი) შემადგენლობით.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელის მოადგილე დ. კავსაძე, სახელმწიფო კაპელას ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. კუხიანიძე.

„მნათობი" № 5

დაიბეჭდა და ამ დღეებში ხელისმომწერთ დაურიგდებათ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური ჟურნალი „მნათობი" № 5, რომელშიც მოთავსებულია:

ლ. პ. ბერია—საქართველოს ბოლშევიკების ყრილობის შედეგები.

ლ. პ. ბერია—საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება (საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე 1937 წლის 15 მაისს გაკეთებული მოხსენებიდან).

ამხანაგი ი. სტალინის ახალგაზრდობის დროინდელი ლექსები.

ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის თავი

ი. ჭავჭავაძე — დაე, თუნდ მოვკვდე... (ლექსი).

ი. ჭავჭავაძე—პოეტი (ლექსი).

○

ილიას ავტობიოგრაფია.

ი. ბალახაშვილი—ილია ჭავჭავაძე და სამოციანი წლების პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე.

არტურ ლეისტი — უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა.

○

აკაკი წერეთელი—ილიას ხსოვნას (ნაწყვეტები ლექსიდან).

ვაჟა-ფშაველა—ილია ჭავჭავაძის ხსოვნას (ლექსი).

ავქსენტი ცაგარელი — „მკითხავი" (კომედია), ფარსი 3 მოქმ., ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან" გადმოკეთებული.

ვალერიან გაფრინდაშვილი — ილია ჭავჭავაძე (ლექსი).

კ. ბობოხიძე—ილია ჭავჭავაძისადმი (ლექსი).

როდიონ ქორქია — მუნდირი (ეპიზოდი ილიას სტუდენტობიდან).

○

გერონტი ქიქოძე—ილია ჭავჭავაძე (მისი როლი ქართული კულტურის განვითარებაში).

ვ. ხუროძე — ილია ჭავჭავაძე როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი.

აკაკი ფაღავა—ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი.

ტრ. რუხაძე—ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა.

ვ. ნადირაძე — ილია ჭავჭავაძის ადამიანი.

მოგონებანი ილიაზე

ეკატერინე გაბაშვილი—ილიასთან მოგზაურობა მცხეთას.

თედო სახოკია—მოგონება ილიაზე.

შალვა დადიანი—ნამცეცები.

სანდრო შანშიაშვილი — მოწაფემ ვნახე...

ლევან მეტრეველი—როცა ვიყავ ცხრაწლის ბიჭი...

დ. სულიაშვილი — მოგონება ი. ჭავჭავაძეზე.

ი. მჭედლიშვილი — მამაჩემის მოგონება ი. ჭავჭავაძეზე.

◇

მ. თარხნიშვილის გუნდი ქ. მახარაძეში

მახარაძე, (საკ. კორ.) ქ. მახარაძეში ჩამოვიდა აღმოსავლეთ-საქართველოს მომღერალთა გუნდი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით. გუნდმა მოაწყო კონცერტი ქალაქის თეატრში, ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობებში. გუნდი მახარაძეში დარჩა 4 დღეს. კონცერტებს დაესწრო 3000-ზე მეტი მაყურებელი. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხ. ჯიბლაძის ცეკვამ.

◇

ახალი კლუბები და სამედიცინო დაწესებულებები

ქუთაისი, 11 აგვისტო (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა კლუბებისა და სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა.

ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს საზაფხულო კლუბს. ფარცხანაყანევის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მთავრდება კლუბის მშენებლობა.

ქვედა-სიმონეთში მთის ტყიან ფერდობზე კოლმეურნეები აშენებენ სამშობიარო სახლს სამი მუდმივი საწოლით. სამედიცინო პუნქტები შენდება პატრიკეთში, ჭოგნარში, გოდოგანში.

სასამართლო

აღმაშფოთებელი გულგრილობა

იანვრის საღამოს მხიარული ცოლი და ქმარი შინ მიდიოდნენ. საბურთალოს მიდამო თოვლს გადაეთეთრებინა. თუმცა ციოდა, მაგრამ ცოლ-ქმარი ისე იყვნენ საუბარში გართულნი, რომ სიცივეს ვერ ამჩნევდნენ. ქალი, თბილისის სავაგონო დეპოს მუშა, თითით საჩვენებელი სტახანოველია. ქმარი რკინიგზაში მსახურობს. მათ პატიოსანი შრომით მშვენიერი ოჯახი შექმნეს.

— ხვალ ჯილდოს რომ ავიღებ, ერთ კარგ მაგიდას ვიყიდი! — უთხრა ქალმა ქმარს. ამ ლაპარაკში მივიდნენ ავტობუსის გასაჩერებელ ადგილთან. უცებ საიდანღაც გაჩნდა შოფერი იოსებ ბაქრაძე. მან ახედ-დახედა ქალს, გაუცინა და მოურიდებლად ჰკითხა:

— ქვეითად რათ მიდიოდით. მალე ავტობუსი გამოივლის. აქ გავაჩერებინებ და წავიდეთ!

— აქ ისედაც ჩერდება ავტობუსი! — მიუგო ქალმა. ბაქრაძემ ქალისაგან მკვახე პასუხი რომ მიიღო, ახლა ქმართან სცადა დალაპარაკება და პაპიროსი სთხოვა... არ ისვენებდა ბაქრაძე. მან შეკითხვებით თავი მოაბეზრა ცოლ-ქმარს და იძულებული გახადა იქიდან წასულიყვნენ. ცოლ-ქმარმა გზა გააგრძელეს, ბაქრაძე კი მათ უკან ხელი ნაბიჯით აედევნა.

ცოლ-ქმარი რომ ვერას ბაზართან მივიდნენ — მათ გვერდით საბარგო ავტომობილი გაჩერდა. ბაქრაძემ და იმისმა ძმა-ბიძებმა დაავლეს ცოლ-ქმარს ხელი, ძალით ჩასვეს ავტომობილში და საბურთალოსკენ გააქანეს. საბურთალოს გზა დაცალიერებული იყო. ხულიგნებმა ცოლ-ქმარი ცემით დაასუსტეს. გზაში ბაქრაძემ ქალი გააუპატიურა. ქმარი საბურთალოს ბოლოზე ავტომობილიდან ჩამოაგდეს. ტრიალ მინდორზე, რომ გავიდნენ, ქალი ჩამოიყვანეს ავტომობილიდან და იგი ოთხმა კაცმა გააუპატიურა, ხოლო შემდეგ ბაქრაძემ კვლავ დაიკმაყოფილა მხეცური ჟინი.

უკვე ღამის პირველი საათი იყო, რომ გამობრუნდნენ. გზაზე ქმარს გამოუარეს, ჩაისვეს ავტომობილში, კიდევ სცემეს და თან გააფრთხილეს: არსად არაფერი სთქვა, თორემ ცოცხალი არ გადაგვირჩებითო. ზოოპარკთან რომ მოვიდნენ, ცოლ-ქმარი ძირს ჩამოსვეს და ავტომობილი სადგურისაკენ გააქანეს.

იმავე ღამეს, რკინიგზის სადგურის წინ, ცოლ-ქმარი ტრამვაიდან რომ ჩამოდიოდნენ, ქალმა უცებ ბაქრაძეს მოჰკრა თვალი და შეაკივლა. მან გაქცევა სცადა, მაგრამ იქვე დააპატიმრეს. ბაქრაძეს სახეზე ქალის დანაკაწრი აჩნდა. მე-11 უბნის მილიციის თანამშრომელმა ჯინჭარაძემ დაზარალებულებს და ბრალდებულს დაჰკითხა, შეადგინა ოქმი, მაგრამ რატომღაც იმავე ღამეს საფუძვლიანად არ შეისწავლა ეს საქმე, ბაქრაძეს სახეზე დანაკაწრები არ შეამოწმა, არც ექიმს გამოუძახა. უფრო მეტიც: ბაქრაძე მეორე დღეს გაანთავისუფლა. ეს საქმე დავიწყებას მიეცა. მხოლოდ ორი თვის შემდეგ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა ის შემთხვევით აღმოაჩინეს ჯინჭარაძის მაგიდის უჯრაში.

ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ამხ. ალ. ლომინაძემ ეს საქმე საფუძვლიანად გამოიძია. ბაქრაძე დააპატიმრეს და ამ დღეებში იგი სასამართლოს წინაშე წარსდგება.

მილიციის მე-11 განყოფილების თანამშრომელ ჯინჭარაძის შესახებ, რომელმაც ეს საქმე მიჩქმალა, სიტყვა რესპუბლიკის მილიციის უფროსს ეკუთვნის.

ქლ. ზიაძე.

◇

მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში მოისმინეს ანგარიში სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის სექციის მუშაობის შესახებ. კრებამ მუშაობა სცნო არადამაკმაყოფილებლად და ფარული კენჭისყრით აირჩია სექციის ახალი ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ბ. ჟღენტი (თავმჯდომარე), ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე და ა. გომიაშვილი (მდივანი).

უახლოეს დღეებში სექცია განიხილავს და შეაფასებს სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კრებულს, რომელიც მზადდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის.

სექცია იღებს ღონისძიებს, რათა მწერლებისათვის მოაწყოს მთელი რიგი მოხსენებანი შემდეგ თემებზე: „მომავალი ომი და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერება", „იაპონიის შეიარაღებული ძალები", „გერმანიის ფაშიზმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

სექცია ახლა პოეტებს შორის ატარებს კონკურსს საუკეთესო წითელარმიული სიმღერის შესაქმნელად. გათვალისწინებულია წითელარმიელ მწერალთა შემოქმედებითი წრის მოწყობა წითელი არმიის საოლქო სახლთან.

სექციის ახალ ბიუროს დაევალა მოახდინოს მწერალთა ძალების მობილიზაცია ისეთი წიგნის შესაქმნელად, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირისა და სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერებას. (საქდესი).

ფეხბურთი

საკავშირო პირველობის გათამაშება

დღეს, 12 აგვისტოს, კიევში გაიმართება „ა" ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობენ თბილისისა და კიევის „დინამოს" ოსტატთა გუნდები.

თბილისის მხრიდან ამ შეჯიბრებაში ითამაშებენ: დოროხოვი, ჭუმბურიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, მინაევი, გაგუა, გავაშელი, პაიჭაძე, ლილაძე, ასლამაზოვი, აფრიდონიძე.

კიევიდან თბილისელები მოსკოვს მიემგზავრებიან, სადაც 18 აგვისტოს შეჯიბრება ექნებათ მოსკოვის „დინამოსთან".

○

„ა" ჯგუფის გუნდების უკანასკნელ შეჯიბრებათა შედეგები ასეთია: მოსკოვის „დინამომ" უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს" ანგარიშით 3:2, მოსკოვის „მეტალურგმა" პირველი დამარცხება განიცადა ლენინგრადის „კრასნაია ზარიასაგან" ანგარიშით 1:3 და კიევის „დინამომ" მოუგო ლენინგრადის „დინამოს" 1:0.

◇

ახალი ამბები

○ თავდაცვა-ავიაქიმის მომარაგების საკავშირო გაერთიანების საქართველოს განყოფილებამ ავიაციის დღისათვის მიიღო პლანერები უს-4 და პარაშუტები.

○ საქ. თავდაცვა-ავიაქიმის სასამსახურო მემტრედეობის კომიტეტი აწყობს მტრედების შეჯიბრებას გადაფრენის სისწრაფეში ბორჯომიდან თბილისში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 25 გაწვრთნილი ძველი მტრედი.

მესტია (ზემო-სვანეთი).
სურათზე: ვოროშილოველი მსროლელი - კომკავშირელი სვანი შ. პალიანი

ბანდიტების შეპყრობა

მიმდინარე წლის 15 ივლისს ჯავის რაიონში (სამხრეთ-ოსეთი) სამმა შეიარაღებულმა ბანდიტმა გაძარცვა ნ. ნ. კუზნეცოვი, ტ. ს. გაგლოევი, გ. გაზაევი, გ. მ. ცხოვრებოვი და მ. მარდანოვი, რომლებსაც წაართვეს ტანსაცმელი და ფული ორი ათას მანეთამდე.

რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის მუშაკებმა „წვრიმალას" ტყეში (სტალინირის რაიონი) შეიპყრეს ბანდიტთა ჯგუფი, რომელთაც გაძარცულის გარდა აღმოაჩნდათ იარაღი საბრძოლო ვაზნებით. ბანდიტები აღმოჩნდნენ დ. ს. სანაკოევი, პ. კ. ბიბილოვი და ვ. ი. ბესტაევი. ისინი გამოტყდნენ დანაშაულში, ამასთანავე განაცხადეს, რომ ამზადებდნენ ორი გლეხის მოკვლას და მიუთითეს თავის ხელშემწყობზე, სოფ. წრუს გლეხ კასაევზე, რომელმაც მათ მიჰყიდა იარაღი.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

12 აგვისტო,

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ესპანეთის გმირული ახალგაზრდობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში" — რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ბლიაუ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

26 კომისრის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 13 აგვისტოს პარტწრეების მორიგი მეცადინეობა მიძღვნილი იქნება რ. ს. დ. მ. პ. (ბ) მე-VI ყრილობის 20 წლისთავისა და ამხანაგ სტალინის მიერ ბოლშევიკური პარტიის მე-VI ყრილობაზე გაკეთებული ისტორიული მოხსენებისადმი.

14 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საზაფხულო კინო-დარბაზში ამხ. ზედია რაიონის პროპაგანდისტებისა და პარტაქტივისათვის მოხსენებას გააკეთებს თემაზე: „რ. ს. დ. მ. პ. (ბ) მე-VI ყრილობის 20 წლისთავი და ლენინ-სტალინის ისტორიული როლი ყრილობის ხელმძღვანელობასა და დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მომზადებაში".

○

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი წინადადებას აძლევს უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის წევრს ვლადიმერ ოჩიგავას სასწრაფოდ, არა უგვიანეს 14 აგვისტოსი, გამოცხადდეს უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტში ამხ. პ. ხობუასთან.

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტპროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ელისაბედ ჯორჯაძეს, დომენტი ქაროსანიძეს და ბარბარე გალდავას გამოცხადნენ 13 აგვისტოს ამხ. ენუქიძესთან (ოთახი 77).

სარედაქციო კოლეგია

საკინმრეწვის „საზაფხულო თეატრი"

12 აგვისტოს
ტალონი № 65
უკანასკნელად
როზ-მარი
ტატიანა ბახის მონაწილეობით.
13 აგვისტოს ტალონი № 66
14 აგვისტოს ტალონი № 67
პრემიერა
მოცეკვავე კავია
ტატიანა ბახის
მონაწილეობით.

ღია ესტრადა

12 აგვისტოს
უკანასკნელი გამოსვლა
ჯაზ-გოლი
მოსკოვის სსრკ სახ. არტ. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. სახელმწიფო მუსიკალ. თეატრის არტისტების მონაწილეობით.
ხელმძღვანელი ვლ. კანდელაკი.
დასაწყისი 9 ს. 45 წ.

წ. ა. სახლის ბაღი—საკინმრეწვის ფილიალი

12 აგვისტოს
პროგრამის უკანასკნელი დღე
მუსიკ-ჰოლი
მონ. წ. დამს. არტ. ლადო კავსაძე, კოვზანი და ხტეხენი, ტრიო კასტელიო, დანიელ ოლენინი, ჯონ დანკერი, პანია პანინა, მინინი და კრემტოტი, 2 ხტრაიტი, პერპერი და ოსტროუმოვა, ბარანოვსკაია და ლეონოვი, კუზმინება.
ხ. ბაბოვის ჯაზ-ორკესტრი.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ. 50

დღეს საკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-40, 8-40, 10-30	ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი ქართულ ენაზე დაკარგული სამოთხე რეჟისორი—დ. რონდელი ოპერატორი—ბ. ბურავლიოვი საქ. საკინმრეწვის ნაწარმოები.
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30. 10-30	
26 კომ. სახ. საზაფხ. 9 საზამთ. 6-30	
კომინტერნი საზაფხ. 9, 11	
განთიადი 7. 9, 11	
დამკვრელი საზაფხ. შენ. 9-15, 11 საზამთ. შენ. 7. 9, 11	საზაფხ. შენ. დაკარგული სამოთხე ქართულ ენაზე საზამთ. შენ. ჩვენ კრონშტადტიდან ვართ
კომკავშირელი საზაფხ. შენ. 9, 11 საზამთ. შენ. 7. 9, 11	საზაფხ. შენ. დაკარგული სამოთხე ქართულ ენაზე საზამთ. შენ. ხმოვანი ფილმი ცირკი
არსენა 7, 8-40, 10 20	დაკარგული სამოთხე ქართულ ენაზე
ახალი ამბები	კინო ჟურნალი № 32, საბჭოთა ხელოვნება № 5. ზალიმოვების ოჯახი

ამხ. კიროვის სახელობის ლაგოდეხის მეთამბაქოეობის ტექნიკუმში
1937/38 სასწავლო წელს მიღების პირობები.

ტექნიკუმში არსებობს ორი განყოფილება: 1. აგროტექნიკური, რომელიც ამზადებს უმცროს აგრონომებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, და 2. ტექნოლოგიური, რომელიც ამზადებს თამბაქოს ნედლეულის დამუშავების ტექნიკოსებს. ტექნიკუმში მიიღებიან 15—35 წ. ასაკის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. მიღება იწარმოებს გამოცდებით არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: ქართულ, რუსულ ენებში და მათემატიკაში (წერითი და ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში, საზოგადოებათმეცნიერებაში და გეოგრაფიაში. სწავლა ქართულ ენაზეა.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა დედანით,
2. დაბადების მოწმობა.
3. ჯანმრთელობის მოწმობა.
4. ორი ფოტოსურათი საკუთარი ხელმოწერით და დამოწმებული სახელმწიფო ორგანოების მიერ.

განცხადების შემომტანმა განცხადებაში უნდა აღნიშნოს, ტექნიკუმის რომელ განყოფილებაზე სურს შემოსვლა.

მიღებული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სასადილოთი, სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

განცხადებების მიღება სწარმოებს ტექნიკუმის კანცელარიაში 18 აგვისტომდე, დილის 8 საათიდან 3 საათამდე. გამოცდები იწარმოებს 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

1649 ლაგოდეხის მეთამბაქოეობის ტექნიკ. დირექცია.

საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ახალმშენის" დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი (მან.)
1	ძირითადი საშუალებანი	16.384
2	მზანაწარმი და ნახევარფაბრიკატები	15.485
3	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	97.272
4	ფულადი საშუალებანი	115.798
5	მომავალი დროის ხარჯები	2.000
	ბალანსი	246 939

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი (მან.)
1	ფონდები	16.556
2	გრძელვადიანი კრედიტები	15.500
3	ანგარიშსწორება წევრებთან	169.152
4	ანგარიშსწორება ორგანიზაც.	39.209
5	დაგროვება მიმდინარე წლისა	6.522
	ბალანსი	246.939

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	15.665
2	დაგროვება მიმდინარე წლისა	6 522
	ბალანსი	22.187

1.	შემოსავალი აღმშენებლობიდან	20.098
2.	შემოსავალი რეალიზაციიდან	1.284
3.	შემოსავალი სხვადასხვა	805
	ბალანსი	22.187

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ. 23 იანვარს.

გამგეობის თავმჯდომარე ქერქაძე.

მთავ. ბუღალტერი ტაბიძე. 1603

ეთნოგრაფიული გუნდები და სახელმწიფო კაპელა

◇

ლადო გეგეჭკორი

მოსკოვსა და ლენინგრადში ქართული ხელოვნების დეკადის ჩატარების შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახ. ეთნოგრაფიულმა გუნდებმა ორი კვირით დაისვენეს და პირველი მარტიდან კვლავ შეუდგნენ საქმიანობას.

გუნდები გულმოდგინედ მოეკიდნენ საქმეს და წარმატებაც საგრძნობი მოიპოვეს. აპრილის შუა რიცხვებიდან მათ დაიწყეს გამოსვლა თბილისის თეატრებში და საზაფხულო ესტრადებზე.

აღმოსავლეთ საქართველოს გუნდმა პირველ აგვისტომდე სხვადასხვა ადგილას 20-ზე მეტი კონცერტი გამართა. მათ შორის ორი კონცერტი თბილისს გარეთ — სამხრეთ-ოსეთში და გორში. მშრომელები გუნდს ყველგან ოვაციებით ხვდებოდნენ და სიამოვნებით ისმენდნენ ქართლ-კახურ ხალხურ ჰანგებს. ხალხს განსაკუთრებით მოსწონდა საფანდურო სიმღერები ორდენოსანი ქეთო მიქელაძის შესრულებით. დიდი წარმატება მოიპოვეს სიმღერებმა: „ჩავუხდეთ მუხრან-ბატონსა" და „მეტივური", რომელთაც დიდი ოსტატობით ასრულებდნენ გუნდის ხელმძღვანელის მოადგილე დ. კავსაძე და მომღერალი გ. კავსაძე გუნდთან ერთად. დიდი წარმატება ხვდა ოსურ ცეკვას „სიმგას".

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გუნდი კარგად არის შეწყობილი და კარგად ასრულებს აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ ჰანგებს, რაც შედეგია გუნდის ხელმძღვანელ ს. კავსაძესთან ერთად მისი მოადგილის დ. კავსაძის და ორდენოსანი გ. ვარდიაშვილის მუყაითი და მონდომებული შრომისა.

დასავლეთ საქართველოს გუნდმა მაისიდან აგვისტომდე 22-ზე მეტი კონცერტი გამართა, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს გუნდის რეპერტუარი ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით დასავლეთი საქართველო თავისი კუთხეებით, სადაც ყველგან სხვადასხვანაირად მღერიან: აგერ გურია თავისი კრიმანჭულებით, სამეგრელო შესანიშნავი ლირიკით, აფხაზეთი საცეკვაო და ცხენოსნური სიმღერებით, რაჭა საზეიმო სიმღერებით, იმერეთი „მხედრულით" და სხვ. განა სვანეთის ყოველი თემი, ყოველი უბრალო სოფელი ამოუწურავ სიმდიდრეს არ წარმოადგენს ხალხური თავისებური სიმღერებისა და ცეკვების დარგში? „ლილე", „ლაჟვარში", „ყანსავ-ყიფიანე", „მაირები" ცეკვით, მასობრივი ცეკვა ცერულით, რომელსაც განსაცვიფრებელი ოსტატობით ასრულებენ სვანი მოცეკვავეები ადილარ შუკუანი და აქსა ვიბლიანი, — ყველაფერი ეს ათვისებული აქვს გუნდს.

დასავლეთის გუნდს ამშვენებს გურულ მომღერალთა ფრთა ისეთი მოწინავე მომღერლებით, როგორიც არიან: ბერძენიშვილი, ძმები კოროშინაძეები, მდინარაძე, ან. ერქომაიშვილი, ლომთათიძე, სიხარულიძე და სხვები. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებენ ისინი „შვიდკაცას" და „ხასან-ბეგურას", შესანიშნავად აკრიმანჭულებს დ. მდინარაძე.

მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელიც დასავლეთის გუნდის ნაწილს წარმოადგენს, შესანიშნავ მუშაობას ეწევა; ანსამბლმა ორდენოსანი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით შუა აპრილიდან აგვისტომდე 27-ზე მეტი დამოუკიდებელი კონცერტი გამართა.

ა. მეგრელიძის საქმიანობა ფართოა. მისი გუნდის საჩონგურო რეპერტუარში 40-მდე სიმღერა შედის. გუნდი შესანიშნავად ასრულებს: „სულიკოს", „დარიკოს" (მუსიკა ორდ. ი. ტუსკიასი), „საკოლმეურნეოს", მიძღვნილს ბელადისადმი, მეგრულ „ჩელას" „დიდა ვოი-ნანას" და სხვ.

სულ ათიოდე თვეა, რაც ჩამოყალიბდა სახ. კაპელა, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მელიტონ კუხიანიძე, და უკვე დღეს იგი ძლიერ ვოკალურ ერთეულს წარმოადგენს.

თავიდანვე ჩვეული მუყაითობით მოეკიდა კაპელის საქმეს ამხ. მ. კუხიანიძე; მან კაპელაში შეიყვანა ორი პედაგოგი: კომპ. ვ. ცაგარეიშვილი და ნ. შარაბიძე. ათი თვის მუშაობის შედეგად კაპელას რეპერტუარში აქვს 25-მდე სიმღერა ჩვენი და უცხოელი კომპოზიტორებისა. პირველი კონცერტი გაიმართა 13 აპრილს ოპერის თეატრში. შესრულებულ იქნა ზ. ფალიაშვილის, ნ. სულხანიშვილის, დ. არაყიშვილის, ი. ტუსკიას, შ. მშველიძის, შუბერტის, მარშნერის, ალექსანდროვის, დავიდოვსკის, სადოვნიკოვისა და სხვების გუნდური სიმღერები. ყველაზე კარგად კაპელა ასრულებს გუნდური სიმღერების შესანიშნავი ოსტატის კლასიკოსი ნ. სულხანიშვილის სიმღერებს — „გუთნურს", „მესტვირულს", „სამშობლო ხევსურისა" და სხვ.

კაპელაში ჯერჯერობით 86-მდე ქალვაჟი მუშაობს, მაგრამ მომღერალთა რაოდენობა ასამდე უნდა გადიდდეს. მასში მონაწილეობენ კონსერვატორიისა და ოპერის კვალიფიციური ძალები. კაპელამ შუა აპრილიდან აგვისტომდე 12-ზე მეტი კონცერტი გამართა.

როგორც გუნდები, ისე კაპელა საგუნდო გაერთიანების გადაწყვეტილებით ისვენებენ აგვისტოში. თბილისის მშრომელებს აგვისტოში მოემსახურებიან რაიონების გუნდები: ცხაკაიას რაიონის გუნდი, რ. შელეგიას, ოზურგეთის გუნდი ვ. სიმონიშვილისა და აფხაზეთის გუნდი პ. ფანცულაიას ხელმძღვანელობით.

სექტემბერში გუნდები ისევ განაგრძობენ მუშაობას, გამოვლენ თეატრებსა და ესტრადებზე, ხოლო ოქტომბრიდან წლის ბოლომდე რიგრიგობით გუნდები გამართავენ კონცერტებს მოძმე რესპუბლიკებში. კაპელა გაემგზავრება მინსკში და კიევში, აღმოსავლეთის გუნდი წავა ბაქოში, როსტოვში, დონბასში და დნეპროპეტროვსკში, დასავლეთ საქართველოს გუნდი ესტუმრება ხარკოვს, კიევს, ოდესასა და შავიზღვის სანაპირო ქალაქებს.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—36—88, განყოფილე ბებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კომბ. ქ. № 88.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8286